# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 29 აგვისტო · 1996 №86 (311) · ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორიგი ვაკური ომი

## რკინიგზული ფეხბურთი მთელს ქართულ რაგბს მოშთობას უპირებს



ბოლო ოთხი წლის მანძილზე ეს უკვე მესამედაა (გამონაკლისი შარშანწინ იყო), რომ შემოდგომაზე ქართული რაგბის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება.

მიზეზი მუდამ ერთი და იგივეა — რკინიგზაში მორიგი საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბება. ამას ის მოყვება ხოლმე, რომ ამ გუნდის უფროსობა „ლოკომოტივის" ვაკის სტადიონიდან და დილმის საწვრთნელი ბაზიდან მორაგბეთა გაგდებას მოიწადინებს და დროებით კიდეც აღწევს მიზანს. 1993 წელს მორაგბეებმა ვითარება ერთ კვირაში გამოვასწორეთ, შარშან — თვე-ნახევარში. ეს ყველაფერი „სარბიელშია" ასახული.

წელს სიტუაცია უფრო სერიოზულია, ვინაიდან მორაგბეებს ძლიერი მეტოქეები გვყავს. ისინი საქართველოს რკინიგზის ახალი თავკაცი აკაკი ჩხაიძე და ამ უწყების ფეხბურთის კლუბის ხელმძღვანელი რობიზონ ქინქლაძე არიან. ეს უკანასკნელი გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, გიო ქინქლაძის მამაა.

იცვლებოდნენ რკინიგზის უფროსები და მათდამი დაქვემდებარებული ფეხბურთის კლუბის თავკაცები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მათი აზროვნებისა და ქმედების სტილი. რაგინდ სამწუხაროც იყოს, მაინც ფაქტია, რომ ამ ხალხს ვერაფრით წარმოუდგენია მრგვალი და ოვალური ბურთებით მოთამაშე გუნდების თანაარსებობა და საქმეს რომ შეეჭიდება, ჯერ ვითომდა ფეხბურთის უმთავრეს ხელისშემშლელს — რაგბს მიდგება და თავისი სამოქმედო არეალიდან გაძევებას დაუპირებს.

ახლაც ასეა. გუშინწინ რაგბის ეროვნული ჩემპიონატი განახლდა, თამაშების გამართვა კი მალვით, არალეგალურად გვიწევს. მიზეზი ჩხაიძისა და ქინქლაძის შეუვალი პოზიციაა.

რა თქმა უნდა, რაგბის კავშირის საქმე არაა რკინიგზელ ფეხბურთელთა შინაური გეგმებისა და პერსპექტივის გარჩევა, მაგრამ რაკი ამათი ხელმძღვანელები რაგბს ებრძვიან, ჩვენც გვმართებს თავის დაცვა და საამისოდ საზოგადოებრივი აზრის მოშველიება გვიჩანს საუკეთესო საშუალებად.

დაე, ხალხმა განსაჯოს, ხოლო იმათ, ვისი ჯერიც არს, გადაწყვიტონ, თუ ერის სიჯანსაღისა და ქვეყნის სპორტისთვის რა უფროა საჭირო: ფეხბურთის ერთი მორიგი რიგითი კლუბის დაარსება თუ ბურთაობის მთელი სახეობა, რომელსაც უდაო აღმზრდელობითი და სანახაობრივი ღირსებები აქვს და მოკლედ რომ მოვჭრათ, საერთაშორისო ლელობურთია.

სამ კვირაში საქართველოს კაცთა ნაკრებს 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაში ელის ჩეხეთთან, ოქტომბერში კი ძველ მეტოქეს — რუსეთს უნდა ვუმასპინძლოთ, ოღონდ თვისობრივად ახალ დონეზე, რაც მთელი ქართული სპორტისთვის გამორჩეულ მოვლენად მიგვაჩნია. რა დიდი ფიცი-მტკიცი უნდა იმას, რომ ნაკრების წევრებს სისხლსავსე შინაური ასპარეზი სჭირდებათ, ეს კი ის ეროვნული ჩემპიონატია, რომელიც ფეხბურთელთა წყალობით გვეშლება.

ისიც სათქმელია, რომ ვაკეში რაგბს 33 წელია თამაშობენ და ეს სტადიონი ქართველ მორაგბეთა ყველა თაობისათვის მშობლიური სარბიელი ყოფილა. ფეხბურთელთა ახირების გამო ახლა ეს ტრადიციაც უნდა მოგვეშალოს.

თბილისელ მორაგბეებს ვაკიდან წასასვლელი არსადა აქვთ, რადგანაც რკინიგზელ ფეხბურთელთა თანამოაზრეებმა ყველგან იზრუნეს და რაგბის კარები ამოძირკვეს. აღარას ვამბობთ სავარჯიშო მოედნებზე, რომლებადაც თვით ნაკრების წევრები მოასფალტებულ ანაც წიდოვან ადგილებს იყენებენ.

საწყენია ბატონ ჩხაიძის საქციელი. მან ფეხბურთის გუნდის აღდგენა ჯერ კიდევ მაისში განიზრახა, მაგრამ რაგბისადმი შეურიგებლობა მაშინ არ გამოუჩენია. პირიქით, დიდად მოხარულიც იყო, საქართველოს რაგბის კავშირში ივლისში რომ შევიმუშავეთ დიდი ბიზნეს-გეგმა, რომელიც **მსოფლიო რაგბის** მეოხმა საერთაშორისო ფონდმა მოიწონა და დააფინანსა. ბავშვთა რაგბის განვითარების გარდა ამ გეგმის მეორე უმთავრესი მუხლი სწორედ რომ ვაკის სტადიონის აღდგენა და დიდი თამაშებისათვის მომარჯვებაა.

ახლა, როცა ამის დრო დამდგარა, უმთავრესი ასპარეზი ხელიდან გამოგვეცალა. სამაგიეროდ, ბოლო 25 წლის მანძილზე ბარემ მეათედ შეიქმნა მეორე ჯგუფში მოასპარეზე რკინიგზის ფეხბურთის კლუბი, რომელიც თუ ქალაქში მოარულ ჭორებს დაეჯერება, ორ წელიწადში „დინამოს" ჰეგემონიის დამხობას ფიქრობს, სამ წელში, მესვეურთა აზრით, დაამარცხებს „მილანს" (?!!), ინგლისში სამი მოთამაშის გაყიდვით კი იშოვის 300 ათას გირვანქას და მისით აღაშენებს დაქცეულ ვაკის სტადიონს.

ბატონ ჩხაიძეს შემოდგომაზე რაგბის გაგონებაც აღარა სურს და აღარც ჩვენს საწუხარს დაგიდევთ. ვერც ქართული სპორტის ხელმძღვანელთა ქომაგობა და ავტორიტეტი ჭრის, რაც ერთობ დამაფიქრებელია და გლობალური პრობლემა გვგონია.

საქმე ისაა, ქართულ სპორტს დღესდღეობით ერთობ მოუმრავლდნენ წვრილ-წვრილი მმართველები, თავიანთი უწყებრივი ინტერესების მეტს რომ არაფერს დაგიდევენ. ამიტომ უპრიანად მიგვაჩნია, რომ ქვეყნის პრეზიდენტთან მართლაც შეიქმნას **ქართული სპორტის საბჭო**, რომელიც ყველა ურჩი სპორტული თუ მოსპორტო ხელმძღვანელის ძალისხმევის კოორდინაციას მოახდენს და სპორტის ერთ რომელიმე სახეობას, გინდაც იგი ფეხბურთი იყოს, სხვებს არ მოასპობინებს.

ამ ორგანოს შექმნა საშური საქმეა. მანამდე ქართველი მორაგბეები ალბათ რამეს ვილონებთ. იმედიც გვაქვს, რომ მატჩებს ვაკეში მაინც გავმართავთ. სიმართლე და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც ხომ აშკარად ჩვენს მხარეს არიან!

**საქართველოს რაგბის კავშირის პრეს-ცენტრი**

# მე რა შუაში ვარ?

## უკვირს შოთა არველაძეს



ფოტო ბადრი ქეთილაძისა

შოთა არველაძე გაკვირვებულია იმით, რომ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ გიორგი ნემსაძის „ტრაბზონსფორში" გადასვლის ერთ-ერთ ხელშემწყობად მის ტყუპისცალ არჩილთან, ვაჟა ქვანიასა და ჯემალ ჩიმაკაძესთან ერთად ისიც დაასახელა:

„გიორგი თავის საქმეზე თავად გაგცემთ პასუხს, მე კი იმას გეტყვით, რომ მე, არჩიკო და ჯემალ ჩიმაკაძე გარიგებაში არ ვმონაწილეობდით. თავის დროზე, როდესაც „ტრაბზონი" გიორგით დაინტერესდა, ბუნებრივია, მეც მკითხეს, როგორი ფეხბურთელიაო. მეც ვუთხარი, რაც იყო, რა, უნდა დამემალა და ცუდიაო, ეს მეთქვა? მაგრამ, ეს ხომ გარიგებაში მონაწილეობას არ ნიშნავს. ამაში დარწმუნება იოლად შეიძლება, თუკი 16 აპრილის „სარბიელს" გადაფურცლავთ. იქ დასახელებულია იმ ფეხბურთელთა გვარები, რომელთა შეძენაც თურქებს სურდათ და მათ შორის ნემსაძეც არის დასახელებული. ვფიქრობ, ამით ყველა კითხვას გაეცემა პასუხი. ან კი მე რა მონაწილეობა უნდა მიმეღო გადასვლაში, გუნდის ხელმძღვანელი ვარ თუ მენეჯერი?! ამ ბრალდებებით ჩემი ოჯახი შეურაცხყოფილია. მაგრამ, ჩვენ არ ვნერვიულობთ — ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს და იცის, რა და როგორ მოხდა. ან კი ნემსაძე ის კაცია, ზედმეტი 50 ათასი დოლარისთვის ძმაკაცებს საქმე გაუფუჭოს? ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად დასრულდეს. ჩვენც ეს გვსურს. მაგრამ ჩვენს მიმართ წაყენებული ბრალდებები რომ უსაფუძლოა, ეს ნაღდია."

თავად გიორგი ნემსაძე კი ჯერჯერობით თავს იკავებს კომენტარისგან: „როცა მე და ჟორდანია ყველაფერს გავარკვევთ, მაშინ ვიტყვი, რა და როგორ იყო. მანამდე კი ამის შესახებ საუბარი გაუმართლებლად მიმაჩნია."

**მერაბ მამულაშვილი**

**წუხელ**

# „ეინდჰოვენმა" ისევ მოიგო

**გერმანიაში** მეოთხე ტურის ბოლო ხუთი მატჩი გაიმართა. მიუნხენის „ბაიერნი" შინ 0:1 აგებდა „ლევერკუზენთან", მაგრამ უკვე პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიში მასპინძელთა სასარგებლოდ იყო — 3:1. საბოლოოდ „ბაიერნმა" 4:2 მოიგო. ოთხი ბურთი გაიტანა „კარლსრუემაც", რომელიც „ზანქტ პაულს" მასპინძლობდა, თავად კი არცერთი გაუშვა — 4:0. აქ სამი გოლი სამხრეთაფრიკელმა შონ დანდიმ შეაგდო. ორი მატჩი ფრედ დამთავრდა: „ფორტუნა" — „მიუნხენ 1860" 0:0, „არმინია" — „დუისბურგი" 1:1. „კიოლნმა" შინ როსტოკის „ჰანზასთან" 0:2 წააგო. ამ ტურის სხვა მატჩები გუშინწინ გაიმართა: „დორტმუნდი" — „ფრაიბურგი" 3:1, „ვერდერი" — „მიონხენგლადბახი" 1:0, „შალკე" — „ბოხუმი" 1:1, „ჰამბურგი" — „შტუტგარტი" 0:4.

**ესპანეთის** სუპერთასის საპასუხო მატჩში ჩემპიონსა და თასის მფლობელ მადრიდის „ატლეტიკოს" მხოლოდ ერთი ბურთი დააკლდა სუპერთასის მოსაპოვებლად. ანგარიში პირველ ტაიმში მადრიდელმა ლოპესმა გახსნა. 58-ე წუთზე სტოიჩკოვმა გაათანაბრა, მაგრამ მერე ესნაიდერმა და პანტიჩმა 3:1 გახადეს. დარჩენილ 15 წუთში მასპინძლებმა ვერ შეძლეს საჭირო გოლის გატანა. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი „ბარსელონამ", ვინც გუშინ ბრაზილიელების ჯოვანის და რონალდოს გარეშე ითამაშა, 5:2 მოიგო.

**იტალიაში** თასის მეორე წრის თამაშები ჩატარდა. გაგაცნობთ ზოგიერთ შედეგს: „ჩეზენა" — „რომა" 3:1, „კოზენცა" — „ფიორენტინა" 1:3, „პესკარა" — „პარმა" 3:1, „მონცა" — „ნაპოლი" 0:1, „ფიდელის ანდრია" — „იუვენტუსი" 0:2, „რავენა" — „ინტერი" 0:1

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის მესამე ტურში კვლავ მოიგო „ბათუმის" მომავალმა მეტოქემ პსვ „ეინდჰოვენმა" — მან ამჯერად სტუმრად „ვოლენდამი" 3:1 დაამარცხა. „აიაქსმა" შინ „აზ-67"-ს 1:0 მოუგო.

# ბოლს, შესაძლოა, გიოც მიჰყვეს

## „სიტიში" დიდი არეულობაა



დარწმუნებული ვარ, ამ ჩვენი გაზეთის „გადამკიდე" ბევრია იმ დღეში, მე რომ ვარ — გავთავდი კაცი ამ უბადრუკ „მანჩესტერ სიტიზე" ნერვიულობით. ვიფიქრე, წელს მაინც ეშველება პირველ დივიზიონში-მეთქი, მაგრამ საქმე ისე წავიდა, ვგონებ, შარშანდელივით აქაც ლიგაში დარჩენა-არდარჩენაზე მიდგება საქმე. ეს ფრენსის ლი კი ცოცხალი თავით ქინქლაძეს არსად უშვებს. მაგრამ აი, ორშაბათს ალან ბოლი გადადგა და ხავსს ჩავებღაუჭე — იქნებ ახლა მაინც...

სამშაბათს ლიმ პრეს-კონფერენცია მოაწყო. დაწვრილებით ამაზე აღარ შევჩერდები (ამის თაობაზე იხილეთ მე-4 გვერდი, რედ.), მხოლოდ ლის იმ გამონათქვამს მოგახსენებთ, გიოს რომ ეხებოდა. მისი თქმით, „ბოლი, პრინციპში, რამდენიმე მოთამაშემ „ჩაუშვა". ბოლით უკმაყოფილება ჯერ კიდევ შარშან იყო, როცა სამი ფეხბურთელი მისგან ქინქლაძის სათადარიგოთა სკამზე დასმას ითხოვდა. ჩვენ ეს სამივე — ფლიტკროფტი, ფილანი და კერლი გუნდიდან გაუშვით."

იმავე დღით ტელევიზიით, ცხადია, დიდი სიუჟეტი მიუძღვნეს „სიტიში" მომხდარს. გიოზე ითქვა: „შეიძლება ქინქლაძეც, როგორც ბოლის საყვარელი მოთამაშე, წავიდეს გუნდიდან. მისი ყიდვის მზადყოფნაშია „სელტიკი", ასევე სხვა ინგლისური კლუბები." სამშაბათსვე გაზეთებში გამოქვეყნდა: „ქინქლაძემ მიმართა თავის აგენტს, რათა მან ლისთან გაარკვიოს, რომელი კლუბები არიან დაინტერესებულნი მისი ყიდვით."

ოთხშაბათს დილით გიოს რომ დავურეკე, ვარჯიშზე აგვიანდებოდა და მითხრა, საღამოს დაგირეკავ, ვარჯიშის მერე რაღაც კრებაა დანიშნულიო. საღამომდე ნაცნობ მანჩესტერელ ჟურნალისტს დავურეკე. ეს კაცი, ევროპის ჩემპიონატის დღეებში რომ გვხვდებოდა, ტრადიციულ კითხვას — როგორ ხარ, ასე პასუხობდა — თუ მეტყვით, რომ ქინქლაძე „სიტის" არ დატოვებს, უკეთესად ვიქნებიო. ჰოდა, სწორედ გიოზე უზომოდ შეყვარებულმა ამ ჩვენმა კოლეგამ მითხრა: „ყველაზე დიდი შანსი „სიტის" მწვრთნელად გახდომისა ჯორჯ გრემს აქვს, მაგრამ ამას უთქვია, რამდენიმე ახალი მოთამაშის ყიდვა იქნება აუცილებელიო. „სიტის" კი საამისო ფულის შოვნის ერთი შანსი აქვს — ქინქლაძის გაყიდვა. ასე რომ, ჩემდა სამწუხაროდ და შენდა გასახარად, შანსია, გიო გაიყიდოს. თან, თუ გუნდიდან გამოსულ ხმებს დაეჯერება, თანაგუნდელების გიოსადმი დამოკიდებულება დიდად შეიცვალა მას მერე, რაც მან „მერსედესთან" გააფორმა სარეკლამო კონტრაქტი. ადრე ხომ შურდათ მისი და ახლა მითუმეტეს. როგორც შევიტყვე, „სელტიკი" მზადაა 5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ვიცი, რომ ვითარებას გაფაციცებით ზვერავს „არსენალი", რომელსაც გიო ადრეც სურდა, ახლა კი ამბობენ — ფრანგი არსენ ვენგერი, ვინც დღედღეზე გახდება ლონდონელთა მწვრთნელი, ასეთი ყაიდის მოთამაშეებზე ჭკუას კარგავსო. რაც შეეხება ლის გამონათქვამს, ბოლი მოთამაშეებმა „ჩაუშვესო", ნაღდია — ბოლო წაგებული მატჩი ვნახე და რამდენიმე ფეხბურთელი დემონსტრაციულად დადიოდა მოედანზე."

...საღამოს გიომ დამირეკა: „ახალი არაფერია. ლი ჩემთან მოვიდა და მეკითხება — ვინ გირჩევნია მწვრთნელადო. ველარ გაიგო, რომ ძლიერ კლუბში გადასვლა მსურს. ესლა ვუთხარი: 7-8 ტურს ველარ დაველოდები — თუ შემდეგივე თამაში „ჩარლტონთან" არ მოვიგეთ, ძალიან გამიჭირდება აქ დარჩენა-მეთქი. რაც შეეხება ცნობას ჩემი აგენტის შესახებ, ეს ტყუილია. ლისთან თავად გავარკვევ ყველაფერს. ისე, ახლა „სელტიკზეც" თანახმა ვარ."

**დავით მჭედლიშვილი**
ლონდონიდან

საქართველოს ჩემპიონატი — 4 ტური — მიმოხილვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 14:0 | 9 |
| ბათუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 14:0 | 9 |
| გურია | 4 | 3 | 0 | 1 | 9:12 | 9 |
| დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| ოდიში | 4 | 2 | 0 | 2 | 7:3 | 6 |
| მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:5 | 6 |
| მარგვეთი | 3 | 2 | 0 | 2 | 5:2 | 6 |
| გორდა | 4 | 2 | 0 | 2 | 11:9 | 6 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ტორპედო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ივერია | 4 | 1 | 1 | 2 | 1:6 | 4 |
| სიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| სამტრედია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| სამგურალი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:13 | 3 |
| შევარდენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |

# ქართველები — იაფად

„დინამო" — „სამტრედია" თუ „სამტრედია" — „დინამო". შარშანწინდელზე არაფერს ვამბობ, ჯერ კიდევ შარშან ეს თამაშები დიდ ინტერესს იწვევდა. განგებისა თუ, ვინ იცის, კიდევ რის გადამკიდე ბოლო ორი წლის მანძილზე ეს გუნდები 4-4 ჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. შარშანწინ ჩემპიონატის ორივე მატჩი „სამტრედიისა" იყო, თასზეც ერთი მოიგო, მაგრამ მერე როგორ გასრულდა ამათი პაექრობა, გემახსოვრებათ. შარშან იმერლებმა ვერ კი მოუგეს „დინამოს", მაგრამ თავიდან გვარიანად ანერვიულეს. შინიდან მოგებით არ გაუშვიათ და ჩემპიონატშიც და თასზეც თითო ფრეს დასჯერდნენ. წელს? 6:0 „დინამოს" სასარგებლოდ. ასეთი ანგარიშით აქამდე „სამტრედიას" მხოლოდ ერთხელ წაუგია. ისიც „დინამოსთან". მაგრამ ეს 1991 წელს იყო. მაშინ კი „სამტრედია" ჯერაც არ იხსენიებოდა ლიდერთა სათვალავში. ამის შემდეგ კი ის წლები იყო, ერთ-ერთში „დინამოს" ლამის ჩემპიონობა რომ დააკარგინა.

გამანადგურებელი მარცხის მიზეზებზე „სამტრედიის" მთავარმა მწვრთნელმა კახა ელაშვილმა აი, რა თქვა: „ვერ ვიტყვი, რომ წაგებას არ ველოდი. მეტყვიან, აბა, მაშინ რას აკეთებდიო? მოუმზადებლები ვართ. ბიჭები ახლახანლა შეიკრიბნენ. მოსამზადებელ პერიოდში ზოგი რუსეთში იყო გადახვეწილი, ზოგიც, ღმერთმა უწყის, სად. ასეთ პირობებში რა უნდა მექნა? ზოგიერთი მოთამაშე ვარჯიშზე კინაღამ ხელში ჩამაკვდა. ამ ვაჭრებმა ხომ აგვიკლეს — ოღონდ მოთამაშე გაყიდონ და მეტი არაფერი უნდათ. დღევანდელი შემადგენლობით მხოლოდ ერთხელ, ლანჩხუთის „გურიასთან", ისიც საკონტროლო ვითამაშეთ. ერთი თამაში კი მოსამზადებელ ეტაპს ვერ შეცვლის. გუნდს შესათამაშებლად 5-6 თამაში და დრო სჭირდებ. დრო კი სად იყო... ჰოდა, ჩემპიონატი დაიწყო და დახანანი დამარცხებაც ვიგემეთ. ახლახან დამატებული ბიჭები თავიდანვე რომ მყოლოდა, აქამდე მაინც არ წავაგებდით, თორემ „დინამო" რომ გვჯობს, ეს სალაპარაკო არ არის.

მე ჯერ კიდევ პირში წყალი მაქვს ჩაგუბებული და წაგების მიზეზებზე არას ვამბობ, მაგრამ ამის დროც მოვა და ყველაფერს ვიტყვი".

ყველაფრის თქმას ბატონი კახა კარგა ხანია აპირებს, მაგრამ ვიდრე თევზივით ჩუმია, საქმეები მის გუნდს უკან მიუდის. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ „დინამოსთან" მატჩის წინა ღამე რამდენიმე სამტრედიელ ფეხბურთელს მილიციაში გაუტარებია. ასეთი რამ ნებისმიერ კაცს შეიძლება შეემთხვეს, მაგრამ ფეხბურთელს, თანაც თამაშის წინა დღეს? ეს უკვე ცუდი ნიშანია.

„დინამოს" არც „ბათუმი" ჩამორჩა და შინ გადაპატიჟებული „კახეთი" გაანადგურა. ამ თამაშში მასპინძელთა თავდამსხმელმა დავით უჯმაჯურიძემ მიმდინარე ჩემპიონატის მეორე ჰეთ-თრიქი შეასრულა, თანაც პირველიც მასვე ეკუთვნოდა.

„კახეთისგან" სტუმრად მარცხი, აბა, რა საკვირველია, მაგრამ „ბათუმმა" რომ მოსალოდნელზე მეტი ჰქნა?! ჩემპიონატში ამას და „დინამოს" 3-3 შეხვედრა აქვთ ნათამაშები და სატურნირო ცხრილს აბსოლუტურად ერთნაირი შედეგით უდგანან სათავეში. გატანილი და გაშვებული ბურთების რაოდენობაც კი ზუსტად ერთნაირი აქვთ.

გორის „დილამ", წინა ტურში ჩემპიონატს რომ ლიდერობდა, „შევარდენთან" თბილისში ოდენ ფრე გაახერხა, თუმცა მოგებაც შეეძლო და წაგებაც, ეს შედეგი გორელთა უმეტესობამ დამაკმაყოფილებლად აღიქვა, აი, „შევარდენის" მწვრთნელი უჩა ქანთარია კი უკმაყოფილებას ვერ ფარავდა — მსაჯმა ჩვენს კარში მოგონილი პენალტი დანიშნაო. გული რომ საგულეს არ ჰქონდეს, ამის მიზეზი შევარდენთა ბაზიერს კი მოეპოვება: „შევარდენი" ხომ ჯერჯერობით ერთადერთი გუნდია, ვისაც ჯერ გამარჯვება არ უგემია.

აქამდე თბილისელთა ღღეში „ივერიაღა" იყო, მაგრამ მან სენსაციური გამარჯვება იზეიმა წყალტუბოში „სამგურალთან". აქ გოლი ისევდაისევ იმ წყეულ 87-ე წუთზე გავიდა. თამაშის შედეგმა ხაშურელთა მთავარი მწვრთნელი მალხაზ ლაცაბიძე ძალიან გაახარა — ჩვენ ბევრი აუტსაიდერებად გვთვლიდა, მაგრამ დავამტკიცებთ, რომ ასე არ არისო.

„ივერიამ" ამ ჯერზე ნამდვილად დაამტკიცა რომ ბევრზე ნაკლები არაფრითაა, რადგან ტურის წინ ბრეგვაძითა და გელაშვილით გაძლიერებულ „სამგურალს" მოუგო. თუმცა ამაზე წყალტუბოელებს სხვა აზრი ჰქონდათ: მათი თქმით, არბიტრმა თამაზ ლორთქიფანიძემ ხამი ნაღდი პენალტი არ დაარტყმევინა.

ცუდ მსაჯობაზე ჩივიან ლანჩხუთის ნასტუმრები ტორპედოელებიც. ელგუჯა სილაგავამ 1:0-ზე პენალტი არ მოგვცა, გასამვევბელი ლანჩხუთელი კი გაფრთხილებას დააჯერაო. თერთმეტმეტრიანი ქუთაისელთა ბომბარდირ აშვეთიაზე ყოფილა, რომელსაც ამ დღეებში ოჯახი შეუქმნია.

მსაჯობით უკმაყოფილო იყვნენ მარგველებიც ეტყობა, ზესტაფონში ამათ მართლაც ძლიერ იცოდვილეს, რაკილა ერთადერთი გოლის ავტორიც ვერ დაუდგენიათ ზუსტად და მატჩის ოქმში გოლი მიქაბერიძის ნაცვლად გახოკიძისთვის მიუწერიათ. არადა, ამ თამაშზე მყოფმა ორი გაზეთის კორესპონდენტმა და საქართველოს რადიომაც მიქაბერიძეს ამაგი არ დაუკარგეს, მერაბ მალალურაძის არბიტრობით ჩატარებული შეხვედრის ოქმი კი სხვას ლაღადებს.

ჩემპიონატი მშვენივრად დაიწყო აღმოსავლელმა დებიუტანტმა, ოღონდ მას ჯერ სტუმრად გამარჯვება არ უზეიმია და არც ქულა აუღია მეტოქისთვის. აი, შინ კი მეორე თამაშია, ოთხ გოლზე ნაკლები არ გააქვს და ჯერ ხომ „კოლხეთს" მოუგო, ახლა მას „გორდაც" მიაყოლა. სწორედ მისგან მიიღო „მერანმა" ის ერთადერთი საშინაო ბურთი. ამ გოლით რუსთაველებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ „მერანმა" თავისი მტკიცე ხასიათი მეორე ნახევარში გამოამჟღავნა და „გორდას" 4:1 მოუგო. ამ გამარჯვებაში ლომის წილი ოდინდელმა მრეტმა გელა ქორიძემ დაიდო, რომელსაც თანაგუნდელი სულიკო დავითაშვილიც ძლიერ დაეხმარა. ამან ჯერ პენალტი ბპკილა მეტოქეს, მერე ქორიძეს საგოლე პასი მისცა, მესამე გოლი კი თავად გაიტანა.

შინ მეორე თამაში მოიგო „ოდიშმაც", რომელსაც სტუმრად, „მერანისა" არ იყოს, ჯერ არ გაუმარჯვია. ზუგდიდელებმა 34-თვიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებული ფანცულაიას და შარშანდელი სეზონის ბოლოს დისკვალიფიცირებულ და ახლახან შეწყალებულ გაბედავას მიერ გატანილი გოლებით დაამარცხეს „სიონი".



მერანელთა ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი

ამ ტურში სტუმრებმა გვარიანად ივარგეს. წინა სამ ტურში დიდი-დიდი, ერთს გაემარჯვა და ერთსაც ფრე გაეხერხებინა, მეოთხეში კი ერთმა ფრედ ითამაშა და ორმაც მოიგო, თანაც ორივემ სენსაციის მოწმე გაგვხადა. ჩემპიონატი თანდათან ხურდება და მალე ინტრიგასაც შეიძენს. ოღონდ ეგაა, ახალი, კაშკაშა სახელები ჯერჯერობით არ ჩანს. ან კი როგორ უნდა გამოჩნდეს, როცა ამათ არც კი ეძებენ. არადა, ამ დროს ისეთი რამაც ხდება, რაც ჯერ შესაძლოა არ ვეირის, მაგრამ წლების მერე იქნებ თავში გვაცემინოს ხელი.

სულ რომ ვერ გაიგებ კაცი, ისე გვეცლებიან ჩვენი ახალგზრდები თვალსა და ხელს შუა და გერმანიის რეგიონალლიგაში სათამაშოდ მიდიან. კი ბატონო, რა სჯობს ამ დროში ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრებას, წვრთნასა და თამაშს, მაგრამ ეს მათთვისაა კარგი, თორემ კლუბებისთვის არაფერია ამაზე ცუდი, 17-18 წლის ბიჭებს კაპიკებად რომ ჰყიდიან.

ამსწინათ ერთ ქართველ მწვრთნელს ვესაუბრე, ამის გამო წუხილი რომ გამოთქვა. ნელ-ნელა მესამეხარისხოვანი, განუვითარებელი ქვეყნები ვაჭრობენო, თორემ ის მყიდველები ამ ფეხბურთელებისგან მზა „პროდუქციას" შექმნიან და მერე თავად იხეირებენო. ამას მწვრთნელი მიხვდა, ის კაცი, საწვრთნელ პროცესსა და თამაშს იქით არაფერი რომ არ უნდა აინტერესებდეს, ხოლო კლუბები და მათი მეპატრონენი კი ასეთ რამეზე არც ფიქრობენ. ბარაქალა „მრეტებს", ქინქლაძის კონტრაქტში „დაყოვნებული მოქმედების ნაღმი" რომ ჩაუდევს, როცა გიოს „დინამო" ყიდულობდა. იცოდა „მრეტებმა", ვისაც ჰყიდდა და ამიტომაც იყო, წლების შემდეგ, გიო რომ „სიტიში" გაიყიდა, თავისი წილი ითხოვა. ახლა კი რაა? ახლა ფეხბურთელები ლამის მოხალისეებად, საკუთარი ინიციატივით მიდიან და მათი დამკავებელი, უკეთ კი, მათთვის ნორმალური პირობების შემქმნელი არ ჩანს. არადა, რამდენი იმედის მომცემი ახალგაზრდაა, რომელთაც სწორად თუ წაუყვიდათ საქმე, არც მათ და არც ჩვენი გუნდების ბედს ძალლი არ დაჰყევს.

ასე თუ გაგრძელდა, ჩვენს საკლუბო ფეხბურთს არანაირი პროგრესი არ ექნება. გუნდებმა საკუთარიც და სხვისი შეცდომებიც თუ ტყუპისცალივით გაიმეორეს, ამით ისევ ჩვენი ჩემპიონატი დაზარალდება.

არა და, გუნდებს წელს ურიგოდ არ დაუწყიათ. მერე და მერე თუ არ აურიეს... კიდევ კარგი, სტიმულად ოთხი გუნდის ევროთასებზე გასვლა და სამის ჯგუფიდან გავარდნა აქვთ. იქნებ, წელს მაინც, ნაღდ ბრძოლაში გაეჯიბრნონ ერთმანეთს და არა თამაშების ყიდვა-გაყიდვაში, ფეხბურთელების მოტყუებაში და მწვრთნელების ცხრაჯერ გამოცვლაში...

**ვახტანგ ბზიკაძე**



ჩემპიონატის ბომბარდირი ბათუმელი დავით უჯმაჯურიძე

**ბათუმი 6:0 კახეთი**

**ბათუმი:** გვარამაძე, ი. მახარაძე, შანიძე, კანტიძე (ჰიჭვეიშვილი 11), შეყილაძე, თორლაშვილი (ვ. დარსველია 55), მ. მახარაძე, მიჰუტაძე, ტულუში (ტრაპაიძე 49), უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი

**კახეთი:** ბეწუკელი, ჰაჰუა, ხორავა (გ. ლობჟანიძე 60), კ. წიკლაური, ნაკუდაიძე, შილამბერიძე, ათუაშვილი, ა. ბოჭორიშვილი, შონია (მამისაშვილი 57), ბაბულაიძე, ღვინიაშვილი

1:0 უჯმაჯურიძე (8), 2:0 ტულუში (30), 3:0 მუჯირი (47), 4:0 უჯმაჯურიძე (54), 5:0 ტრაპაიძე (59), 6:0 უჯმაჯურიძე (60)

**მსაჯი:** თ. ლიცაბიძე (სურამი)

## მეორე ჯგუფი

მესამე ტური

ორივე ზონაში ისეთი გუნდები დაწინაურდნენ, რომლებსაც ჯერ ... ქულა აქვთ და პირველ ჯგუფში გადასვლაზე ახლავე სერიოზულად ფიქრობენ. აღმოსავლეთში ასეთები მცხეთის „არმაზი" და თბილისის „ლოკომოტივი" არიან, მაგრამ სავსებით შესაძლოა, მათ დავაში „მორკინალიც" ჩაერიოს — ეს თბილისური გუნდიც ხომ, მერამდენე წელია, პირველ ჯგუფზე ოცნებობს. აღმოსავლეთ ზონაში დანაკლისიც არის. ფეხბურთის ფედერაციამ გათამაშებებიდან დაითხოვა რუსთავის „აზოტი-აკადემია". საერთოდ, ერთი რამ ცალსახად შეიძლება ითქვას: ახალმა დებულებამ გუნდების უმრავლესობას ბევრი თავსატეხი გაუჩინა. ეს კი იმის ბრალია, რომ კლუბების თავკაცები დებულებას საფუძვლიანად და დაკვირვებით არ ეცნობიან. „აზოტი-აკადემიამ" ვერ შეძლო თამაშამდე მსაჯებისთვის წესით გათვალისწინებული საზღაურის მიცემა: იმ დღეს რუსთაველი გუნდის წარმომადგენლები ძნელი სანახავნი გამხდარან. საბოლოოდ, „აზოტი-აკადემია" მოიხსნა შეჯიბრებებიდან, სტუმარ „მესხეთს" კი 3:0 მოგება ჩაეწერა.

დასავლეთ ზონაში ახალგამომცხვარი გუნდებიც გამოჩნდნენ: „ტორპედო 2" და „ბათუმი 2". ამათ დიდი მიზნები არ აწუხებთ და არც მოეთხოვებათ: ორივე ფარმკლუბია და „ტორპედოსა" და „ბათუმისთვის" ფეხბურთელების აღზრდის მეტი არა ევალებათ. რამდენიმეწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ხობმა და მარტვილმა კვლავ გამოიყვანეს გუნდები. იყო დრო, მარტვილის რაიონს მეორე ჯგუფში ერთბაშად ოთხი გუნდი ჰყავდა, ტრადიციებიც გაეხსენებოდა — ერთ დროს მარტვილის „სალხინო" საქართველოს ჩემპიონიც ყოფილა. ახლა მარტვილელებს ერთადერთ გასართობად ფეხბურთიღა აქვთ, დანარჩენზე — ნურას უკაცრავად. ჰოდა, რაიონის ხელმძღვანელობამ მოინდომა, გუნდიც შეიკრიბა და ჯერჯერობით ურიგოდ არ ირჯებიან. ეგ არის, დაწყებულის ბოლომდე მიყვანაა საჭირო. ამის იმედი მარტვილელებს ჯერ კიდევ აქვთ და ალბათ ხელმძღვანელობაც უფრო გულიანად დაეხმარება „სალხინოს", თორემ ამ გაუსაძლის დროში ცარიელი ენთუზიაზმის ამარა ბურთს მტერმა სდია. მარტვილელებს საქმეს ისიც უიოლებთ, რომ გუნდში სულ ადგილობრივი ფეხბურთელები ჰყავთ, ესენი კი მინიმალურ გასამრჯელოსაც სჯერდებიან. მოკლედ, საქმის კარგად დამწყებ ენთუზიასტებს თუ სხვებიც ამოუდგებიან მხარში, მარტვილელები სათქმელს იტყვიან, თუ არა და...

**მამუკა ქვანტალიანი**

### აღმოსავლეთი ზონა

დინამო 2 — ლოკომოტივი 0:1, მორკინალი — დურუჯი 5:0, შევარდენი 2 — ქიზერი 0:2, სამგორი — კოდაკო 1:2, იბერია — შირაქი 0:1, არმაზი — 35 სტუ 3:0, შსს აკადემია — ავაზა 3:2, ასკ — თორი 6:1, აზოტი — მესხეთი 0:3 (აზოტს წაგება ჩაეთვალა), ცხინვალი — ჰერეთი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არმაზი** | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| **ლოკომოტივი** | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| **მორკინალი** | 3 | 2 | 1 | 0 | 9:1 | 7 |
| **შსს აკადემია** | 3 | 2 | 0 | 1 | 10:3 | 6 |
| **ასკ** | 3 | 2 | 0 | 1 | 12:7 | 6 |
| **კოდაკო** | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| **დინამო 2** | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| **სამგორი** | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| **იბერია** | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| **ქიზერი** | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| **ცხინვალი** | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| **შირაქი** | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| **მესხეთი** | 2 | 1 | 0 | 1 | 4:9 | 3 |
| **თორი** | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| **35 სტუ** | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| **მრეტები** | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| **ჰერეთი** | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| **შევარდენი 2** | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| **ავაზა** | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |
| **დურუჯი** | 3 | 0 | 0 | 3 | 2:14 | 0 |

### დასავლეთი ზონა

მეშახტე — ბათუმი 2 4:0, კახაბერი — ეგრისი 2:1, სულორი — სალხინო 0:0, მამისონი — ტორპედო 2 5:2, იმერეთი — საპოვნელა 2:2, ოდიში 2 — სამეგრელო 1:1, კოლხეთი 2 — სქური 5:1, მერცხალი — ჩხერიმელა 0:0, მაღაროელი — ოლიმპია 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მეშახტე** | 3 | 3 | 0 | 0 | 14:1 | 9 |
| **მაღაროელი** | 3 | 3 | 0 | 0 | 14:3 | 9 |
| **მერცხალი** | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| **კოლხეთი 2** | 3 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| **ოლიმპია** | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| **იმერეთი** | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| **სულორი** | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| **სალხინო** | 3 | 1 | 1 | 1 | 9:7 | 4 |
| **მამისონი** | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| **სქური** | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| **ჩხერიმელა** | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| **კახაბერი** | 3 | 1 | 1 | 1 | 3:8 | 4 |
| **ტორპედო 2** | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| **ბათუმი 2** | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |
| **ოდიში 2** | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| **სამეგრელო** | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| **საპოვნელა** | 3 | 0 | 1 | 2 | 3:10 | 1 |
| **ეგრისი** | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

მეორე ტურის შეხვედრა „ეგრისი" — „მაღაროელი" 0:3 დასრულდა და არა 2:1, როგორც აქამდე გამცნეთ.

# ნაკრებში ოთხი კაცია...

27 აგვისტოს დილის ბაზაზე სანორვეგიო სამზადისს შეუდგა ეროვნული ნაკრების წევრი ოთხი ლეგიონერი, რომლებმაც თურქეთის და რუსეთის ჩემპიონატებში ჩამოვარდნილი პაუზით ისარგებლეს და თბილისს მიაშურეს. ექვსის ნახევარზე შოთა არველაძემ, მურთაზ შელიამ, ზაზა რევიშვილმა და „დინამოსგან" შერისხულმა გიორგი ნემსაძემ მოთელვა დაიწყეს. ნემსაძის



გიორგი ნემსაძე

დილომში გამოჩენა, ბოლოდროინდელი უსიამოვნო ამბების შემდეგ, ბევრს იქნებ ეეჭვებოდა კიდეც, მაგრამ ეროვნული ნაკრების ინტერესები უზენაესია, ყველა სადაო და გასარკვევმა საკითხმა ჯერჯერობით მეორე პლანზე გადაიწია და ნემსოც, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეჰფერის, ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა ვარჯიშს. ზემოთხსენებულმა ოთხეულმა გახურება დაასრულა, ამათ ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე და მწვრთნელი ოთარ გაბელია დაემატნენ და იქეთი „კვადრატი" გახურდა, თქვენი მოწონებული. ექვს საათზე სავარჯიშოდ „დინამოც" გამოვიდა. დინამოელებს ნაკრების ოთხი ლეგიონერიც დაემატა და საათნახევრიანი ვარჯიშიც გაჩაღდა. აქეთ ყიფიანი და კომპანია „ხდიდნენ სულს" წინახაზელებს, იქით სტადუხინი და აკობია „აწამებდნენ" მეკარეებს. არც იყო გასაკვირი: ნაკრებზე და მის წევრებზე რომ არაფერი ვთქვათ, „დინამოც" გამალებით ემზადება უეფას თასზე მოსკოვის „ტორპედოსთან" სათამაშოდ. ესეც რომ არ იყოს, დინამოელთა ლამის მთელი გუნდი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრია. მოკლედ, ვარჯიში მაღალ დონეზე წარიმართა, ნაკრების მწვრთნელები კი ყურადღებით აკვირდებოდნენ ეროვნული გუნდის წევრთა მზადყოფნას. თვალშისაცემი იყო ისიც, რომ მოვარჯიშე ფეხბურთელები ერთიმეორისთვის ბურთისართმევისას ხისტ ბრძოლასაც არ ერიდებოდნენ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უხეშობას მოკლებული იყო, თორემ...

წვრთნა მთავრდებოდა, როცა მურთაზ შელიამ ვარჯიში შეწყვიტა და შხაპის მისაღებად გაეშურა. გამოსულს პირველად სწორედ ვარჯიშის შეწყვეტის მიზეზი ვკითხეთ...

— ნატკენმა ფეხმა შემაწუხა. მართალია, ჯერ მხოლოდ ყრუ ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ გართულებას მოვერიდე. ეტყობა, ბოლომდე ჯერაც ვერ მომირჩა.

**— გადაღლილი ჩანხარ, ისევ ლვიძლი ხომ არ გაწუხებს?**

— არა, ღვიძლი არაფერ შუაშია. ერთადერთი, რაც მაღელვებს, ფეხია. დანარჩენი ყველაფერი რიგზეა, თავსაც კარგად ვგრძნობ. ოღონდ, ეს ფეხის ტრავმა არ გამიმიზეზდეს და... დავითარსუ, თუ რა არის, ვერ გამიგია — ამ ტრავმებსა და ავადმყოფობას თავი ვერაფრით დავაღწიე.

**— ვიცოდით, თითქოს „რეინჯერსთან" განმეორებით მატჩში არ უნდა გეთამაშა, შენ კი იმ დღეს მინდორზე იყავი...**

— რა მექნა. გაზაევმა დამიძახა და მთხოვა — თუ ცოტა მაინც შეგიძლია, დღეს სათამაშოდ უნდა გახვიდეო. ისიც დაამატა, ახალწვეული სკიშის დაყენებას ისევ შენი გასვლა მირჩევნიაო. ხათრი ვეღარ გავუტეხე...

**— მაინც რა მოგივიდათ იმ დღეს?**

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. თითქოს ყველაფერი ნორმალურად უნდა ყოფილიყო. თამაშზე სამი მცველით გავედით, ვიცოდით, გოლები უნდა გაგვეტანა და შეტევისთვის ვიყავით მზად, მაგრამ მეორმოცე წამზე გაშვებულმა გოლმა წელში გაგვტეხა. ხაპოვიც რაღაც დაბნეული ჩანდა იმ წყეულ მომენტში. ორჯერ დააპირა ბურთზე გამოსვლა, მერე კი გვიანი იყო და მაკკოისტის თაურსაც ვერ შესწვდა. არადა, ზაურს ადრე ბურთები აულია, მაკკოისტის დარტყმული ახლოსაც ვერ მივა. ამ გოლმა აგვრია, მერე მეორეც გავუშვით და ყველაფერი ნათელი გახდა.

**— ამ ბოლო დროს შეტევაში გაჭირთ, წინანდებურად ველარ გაგაქვთ გოლები. რატომ?**

— ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ყაველაშვილის წასვლას მოჰყვა. ყაველა წინ ბურთსაც იჭერდა, ეს კი კანიშჩევს დიდად შველოდა და საქმეც აწყობილი გვქონდა. მიშა, სხვა თუ არაფერი, გუნდის გოლეადორიც იყო. როცა შეტევაში საქმე რიგზეა, უკანა ხაზსაც არ უჭირს. მოკლედ, ყაველაშვილი „ალანიას" ძალიან დააკლდა. ეს დანაკლისი თითქოს ახალწვეულ სერგეევს და სკიშს უნდა შეევსოთ, მაგრამ ალალად ვიტყვი, ეგენი მიშასთან ახლოსაც ვერ მივლენ. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ჯერჯერობით ასე ჩანს და აწი რა იქნება, ძნელი სათქმელია.

**— შოტლანდიელებთან წაგებამ გალაზოვი ხომ არ გაანაწყენა და ფეხბურთზე გული ხომ არ აუცრუა?**

— სულაც არა. თამაშის მერე, ადვილი მისახვედრია, გასახდელში რა დღეში ვიქნებოდით. გალაზოვი ჩამოვიდა. ფეხბურთელები და მწვრთნელები გაამხნევა, არაუშავს, ასეთიც ხდებაო, გვითხრა და სამომავლო იმედზე გველაპარაკა. მართლაც, ჯერ ხომ ყველაფერი არ დაკარგულა. ჩემპიონატში პირველობისთვის უნდა ვიბრძოლოთ, უეფას თასზეც სათამაშოა, შოტლანდიელებთან სირცხვილი რომ ვჭამეთ, ესაც გამოსასწორებელია. ისე, კენჭისყრამ არც ახლა დაგვინდო და ძლიერი მეტოქე ბელგიის „ანდერლეხტი" შეგვახვედრა. მოვემზადებით და ვნახოთ, რა იქნება.

**— გაზაევი თავისი მეკარეებით რომ კმაყოფილი არ არის, ცხადია. გრიშიკაშვილის გაშვებას არ ნანობს?**

— ვერ გეტყვი. მეკარეებს მართლა არ ემადლიერება, მაგრამ სოსოზეც კრინტი არ დაუძრავს. ფიქრით კი რას ფიქრობს, მარტო თავად უწყის.



მურთაზ შელია

**— შენთან როგორი ურთიერთობა აქვს?**

— ჩვეულებრივი, ნორმალური ისეთი, როგორიც მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის უნდა არსებობდეს. გაზაევი კმაყოფილია ჩემი თამაშით და მენდობა. მეც, რაც შემიძლია, ვთამაშობ და ნაწყენი რატომ იქნება.

**— რუსეთის ჩემპიონატში გოლების გატანის მოუხშირე. ბოლო ტურშიც გაიტანე თავით. კიდევ რამდენს აპირებ?**

— ძნელი სათქმელია. როცა თამაშისას ამის საშუალება მაქვს, მეტოქის საჯარიმოში ჩავრბივარ და მაღალი ბურთისთვის ვიბრძვი. ასეთ მომენტებში რამდენჯერმე ვივარგე. თუ კიდევ იქნება შანსი, ცდას არ დავაკლებ და რამდენიც დაგროვდება, ბოლოს დავითვალოთ.

**— როცა „ალანიაში" გადახვედი, მახსოვს, თქვი, რუსეთის ჩემპიონატს ტრამპლინად გამოვიყენებ და მერე ევროპას მივაშურებ სათამაშოდო. გადაიფიქრე თუ უახლოეს ხანებში წასასვლელად გაემზადები?**

— საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ყველაფერი ამ ჩემპიონატის ბოლოს გაირკვევა. ვნახოთ, სერიოზულ ფიქრად ღირს ეს საქმე.

**— თუ ფეხი გაწუხებს, ნორვეგიაში როგორღა ითამაშებ?**

— უფრო მძიმედ ვყოფილვარ, მაგრამ როცა ეროვნული ნაკრების ღირსებაზე მიდგებოდა საქმე, უკან არასდროს დამიხევია. ასე იქნება ახლაც. არა მგონია, პრობლემა შემექმნას. ნორვეგიაში მივემგზავრები და ვეცდები, არც გუნდი შევარცხვინო და არც თავი შევირცხვინო.

ამ საუბარში გართულებს ზაზა რევიშვილმა ბაზიდან გაგვასწრო. იძულებული გავხდით, მის შესახებ ისევ მურთაზს დავკითხოდით.

— ყველამ იცის, რომ ზაზას ავადმყოფობის გამო ლამის მთელი სეზონი გაუცდა. ამ დროს ჩავარდნა გარდუვალია. ეს თავადაც გამომიცდია, მაგრამ რევომ იცის საქმე. მოინდომა და უკვე კარგ ფორმაშიც არის. „რეინჯერსთანაც" ერთადერთი ეგ იყო, ხეირიანად რომ ითამაშა. თუმცა ეს მისი პიკი არ არის, კიდევ მოუმატებს და მერე მისი შეჩერება ძველებურად ძნელი იქნება. მოკლედ, მასზე აუგი გაზაევს როგორ დასცდებოდა. ამართლებს და იმიტომ...

ამის მერე შოთა არველაძე მოვიხელთეთ. შელიას მსგავსად, ვარჯიშის მერე მანაც ფეხი აიტკია...

— თითქმის ერთი წელია, მარჯვენა მუხლი მაწუხებს. მენისკის ნიშნები მაქვს. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ტკივილები გაძლიერდა, მეტი რა საშველია, ოპერაცია უნდა გავიკეთო.

**— ვერ არის კარგი ამბავი. მითუმეტეს, როცა ნაკრებს ასეთი საპასუხისმგებლო თამაშები მოელის...**

— არ მგონია, რაიმე პრობლემა შემექმნას. რაც უნდა მოხდეს, ნაკრების თამაშებზე მაინც მზადყოფნაში ვიქნები. საამისო სურვილი დიდი მაქვს, ეს კი ბევრს ნიშნავს.

**— ტრაბზონში როგორაა საქმე?**

— ჯერჯერობით კარგად. წელსაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, თან უეფაზეც გამოვდივართ. ჩემპიონატის სამ ტურში ოთხი ქულა დავაგროვეთ — ერთი მოგება, ერთი ფრე, ერთი წაგება. „გალათასარაისთან" 0:1 რომ წავაგეთ, მთლად უიმედო თამაში როდი იყო. ოთხი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე, მაგრამ წელსაც ჩემი მიზანი ბომბარდირობა იქნება, თან ახლა უკვე ნემსაძეც ჩვენთან არის.

**— გიორგიზე რას ამბობენ?**

— ნემსო ძალიან მოსწონთ. მისი მოსვლით ჩვენი ნახევარდაცვა უფრო მობილური და მებრძოლი გახდა. ჩემპიონობაზე ფიქრიც უფრო რეალურია.

**— არჩილი როგორ არის, როდის შემოგიერთდებათ?**

— აჩიკო ძალიან კარგად გამოიყურება, მომჯობინდა და ვარჯიშობს. მართალია, ჯერ მთელი დატვირთვით ვერა, მაგრამ ორ-სამ თვეში სრულ მწყობრში იქნება. „ტრაბზონსპორი" ამით კიდევ უფრო გაძლიერდება.

**— ბრატისლავის „სლოვანი" უეფის თასის გათამაშების წინასწარი ეტაპიდან რომ გამოაგდეთ, თავი გასვლა-**



შოთა არველაძე

**ზეც გამოიჩინე და ტრაბზონშიც. ახლა მეტოქეს, ნორვეგიის „ბოდო გლიმტს" რას უპირებთ?**

— „სლოვანი" ძლიერი გუნდი ნამდვილად არ იყო. წასაგები არც ბრატისლავაში გვჭირდა, მაგრამ დანაკლისი შინ შევავსეთ. არა მგონია, ნორვეგიელებთან პრობლემები გვქონდეს, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. ყველაფერი თამაშში გაირკვევა.

**— ადრე თერთმეტმეტრიანებს არ ურტყამდი. შარშან ბომბარდირი ისე გახდი, ერთი პენალტიც არ შეგიშვლებია. ახლაც იგივეს აპირებ?**

— სხვათა შორის, ის გოლი, ჩემპიონატის პირველ თამაშში რომ გავიტანე, პენალტით იყო. ასე რომ, აწი თერთმეტმეტრიანებსაც დავარტყამ. ვნახოთ, საბოლოოდ რამდენი გამოვა...

**— ნორვეგიის ნაკრებთან თამაშზე რას გვეტყვი?**

— პროგნოზებისგან ყოველთვის თავს ვიკავებ. ნორვეგიელებს ხელწამოსაკრავი ნაკრები რომ არ ჰყავთ, ყველამ იცის. პირიქით, საკმაოდ სოლიდური გუნდია. იოლი თამაში არ იქნება. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, დანარჩენს კი თამაში გამოაჩენს. ფაქტი ერთია, მასპინძლებს არაფერს დავუთმობთ...

ბამუკა ქანთალიანი



ზაზა რევიშვილი

# ჯანაშიას აღიარება

ბელგიის ჩემპიონატში რეზო არველაძის „მეხელენმა" ვერც მეოთხე ტურში გაიმარჯვა და „სერკლ ბრიუგესთან" ერთად ამ მხრივ ყველაზე უარესი მაჩვენებელი აქვს ლიგაში, მაგრამ ქართველმა ლეგიონერმა კვლავ კარგად ითამაშა, სტუმრად „ჰარელბეკთან" გოლიც შეაგდო და ერთიც თანაგუნდელებს გაატანინა. „მეხელენის" მე-10 ნომერს ამ მატჩში ჩინებული თამაშისთვის ჟურნალისტებმა ქება შეასხეს და ენცო შიფოს შეადარეს. „მეხელენი" ახლა მე-15 ადგილზეა, თუმცა გატანილი ბურთების რაოდენობით მხოლოდ ხუთ გუნდს ჩამორჩება, ამასთან მე-5 ადგილზე მყოფთან სხვაობა სამად-სამ ქულას შეადგენს.

შარშან თუ ქართველთა წელი იყო რუსეთის ჩემპიონატში, წელს აშკარად ბრაზილიელებმა წალეკეს „მაგნას" ფულებით წელგამართული რუსეთის პირველობა, მაგრამ აქლემი ისე არ დაეცემაო, ხომ გაგიგონიათ. ქართველები კვლავაც ამბობენ თავის სათქმელს. წინა ნომერში მოსკოვის „ლოკომოტივის" გამარჯვებაში ზაზა ჯანაშიას ლომის წილზე ვთქვით. მისი აქტიურობა არც რუს კოლეგებს გამორჩენიათ მხედველობიდან და ზაზა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. შეხვედრის შემდეგ ზაზას უთქვამს, ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში და ჩემი დაბალი შედეგიანობა იმით აიხსნება, რომ რუსი მცველები, ქართველებისგან განსხვავებით, ძალზე უხეშები ყოფილან — მოატყუებ თუ არა, მაშინვე გცელავენო. ჟურნალისტის კითხვას, საქართველოს ნაკრებში თუ მიგიწვევსო, ჯანაშიამ ასე უპასუხა, არავინ შემხმიანებია, თუმცა კანდიდატი ვარო. დასასრულს გაუწყებთ, რომ ჯანაშიამ ყველაზე მეტი შეფასება დაიმსახურა „სპორტ-ექსპრესისაგან" — 6,5.

უდევაძეთ „როსტსელმაში" კვლავ აგებს. ანდრეევი ვლადიმიროვ — რიპანის ცვლაშია, მაგრამ, ფაქტია, „როსტსელმაში" ამით ვერას ხეირობს. ორივე მეკარე ცუდ ნიშნებს იღებს, დევაძე კი თბილისშია.

„ჩერნომორეც" — „როსტსელმაშის" შეხვედრაში ბესიკ ბერაძემ 90 წუთი ითამაშა და საკმაოდ მაღალი შეფასებაც (6,0) დაიმსახურა, სპანდერაშვილი კი ბოლო 13 წუთს გამოიყვანეს და შეფასების გარეშე დარჩა.

„ლადა" — „სპარტაკის" თამაშისას ჩვენთვის საინტერესო ის იყო, რომ ლიგის ახალმოსახლის შემადგენლობას კარგად შეერწყა ბესო ამაშუკელი (6,0), რომელმაც ბოლო ნახევარი საათი ითამაშა, მაგრამ ისე აქტიურად, რომ წარამარა ცელავდნენ.

„ალანია" — „ჟემჩუჟინას" მატჩში, წესით, ყველაზე მეტი, ექვსი ქართველი უნდა გვენახა, მაგრამ რევიშვილი განაცხადშიც არ იყო, წინა ტურში გაძევებული იონანიძე კი რუსეთის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების მოლოდინში ტოვებს მატჩებს. სოჭელმა ჩვენებურებმა ხეირიანი ვერაფერი გააკეთეს, შელიას კი თედეევთან ერთად ყველაზე მეტი წვლილი შეუტანია მოგებაში და ვლადიკავკაზელთათვის ესოდენ საჭირო მეორე გოლიც გაუტანია თაურით. ამ მატჩში საინტერესო კიდევ ის იყო, რომ ხაპოვის კარში სტუმრებს ერთადერთხელ, 86-ე წუთზე დაურტყამთ და გოლიც გაუტანიათ. ამიტომაც ჩვენს რუს კოლეგებს ხაპოვი შეუფასებელი დაუტოვებიათ.

პირველ ლიგაში დროებითი ნავსი გატეხა ვარლამ კილასონიამ და მაიკოპში მატჩის მიწურულს მისმა გოლმა „ლოკომოტივს" მორიგი სამი ქულა მოუტანა. ვარლამი ახლა ოთხი გოლით უსწრებს კონკურენტებს. სტავროპოლის „დინამოს" ქუთაისელი ფორვარდი მამუკა ხუნდაძე ბოლო მატჩებში უგოლოდ არ გადის მინდვრიდან, ამჯერად მან არზამასში „ტორპედოს" მხოლოდ პრესტიჟის გოლი გაუტანა (1:2). ვლადივოსტოკის „ლუჩმა" კი ელისტაში „ურალანთან" 0:2 წააგო. ცხრა მთისა და ზღვის იქით გადახვეწილმა ლუჩელმა იმერლებმა — ნოზაძემ, გიორგობიანმა და ენდელაძემ თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის მოსურნე მიხეილ ფოცხვერიამ უკრაინის ჩემპიონატის ექვს ტურში გოლი ვერ გაიტანა. არადა, დონეცკის „შახტიორში" ექვსივე მატჩში ძირითად შემადგენლობაში დააყენეს. ამჯერად „შახტიორმა" 1:2 წააგო ზაპოროჟიეში „ტორპედოსთან". ამ მატჩში ორივე ტაიმი ითამაშა გიორგი ჩიხრაძემ. ტერნოპოლის „ნივაში" მოთამაშე ავთო კაპანაძემ გოლი კი შეაგდო, მაგრამ ლიგის დებიუტანტმა პოლტავის „ვორსკლამ" მისი გუნდი მაინც დაამარცხა — 2:1

## ინგლისი

# ერთი გოლი მაინც

მე-3 ტურის ბოლო მატჩი

**ლიდსი 1:0 უიმბლდონი**

**ლიდსი:** მარტინი, უეზეროლი, პალმერი, ჯობსონი, კუზენსი (კელი 62), ტინკლერი (რადებე 89), ბოუიერი, შარპი, ჰერტი, რაში, ჰეიტლი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, პერი, მაკალისტერი, თეტჩერი, ერლი, ჯონსი (ბლექველი 76), ერდლი, გეილი, კლარკი (გუდმენი 76), ეკოკუ

**გოლი:** შარპი (58)

**გაფრთხილება:** კუზენსი, თეტჩერი

ლი შარპმა „ლიდსის" საბრალო მწვრთნელს ჰოვარდ ვილკინსონს ცოტათი უშველა, თორემ „ელანდ როუდის" აღშფოთებული ტრიბუნების წნეხი მას უთუოდ გათელავდა. ვილკინსონი ქომაგებს აღარ



ლი შარპს ერთადერთი გოლი გააქვს

უყვართ და ყველაფერს მას აბრალებენ. შარპს კი სხვა პრობლემა ჰქონდა. ბუნებრივია, როგორც მატჩის მონაწილეს, გოლის გატანა სურდა, მაგრამ ამ სურვილს ისიც უორმაგებდა, რომ მას, „მანჩესტერ იუნაიტეტიდან" 4,5 მილიონ გირვანქად გადმოყვანილ ვარსკვლავს, ქართულად რომ ვთქვათ, დანახარჯი უნდა გაემართლებინა.

„უიმბლდონის" და მისი მწვრთნელის ჯო კინიარის საწუხარი კი ასეთია: პირველ ორ ტურში გოლიათებთან „მანჩესტერ იუნაიტედთან" და „ნიუკასლთან" წააგო, მესამეში, აგერ „ლიდსთან", ქულა არ აქვს და ვერც გოლის გატანა მოუხერხებია. ხუმრობენ — ასე თუ გაგრძელდა, იმასღა ინატრებენ, იქნება როგორმე ერთი მაინც შევაგდოთ, თორემ ქულების მოგროვება ჩვენი საქმე არ ყოფილაო.

არადა, პირველი ტაიმი ცუდად არ დაიწყეს. მარკუს გეილმა მასპინძელთა მეკარეს ნაიჯელ მარტინს თავით ლამის გაუტანა, თუმცა გოლკიპერმა ივარგა. შემდეგ „ლიდსის" მცველმა იან ჰერტმა დიდი შიში ჭამა: თავით კინაღამ საკუთარ კარში შეაგდო. უპასუხოდ არც ვილკინსონის ბიჭები დარჩნენ — მარკ ჰეიტლიმ ძლიერად დაარტყა, ოღონდ ააცილა, ტაიმის მიწურულს კი ლი ბოუიერმა საუცხოო პოზიციიდან სხეულის უკეთ დამორჩილება ველარ მოახერხა, თორემ უთუოდ გაიტანდა.

შესვენებისას მასპინძელთა მწვრთნელმა თავის მოთამაშეებს, ეტყობა, ფრთები შეასხა. არც 25 680 გულშემატკივარი იჯდა უქმად და ყველაფერმა ერთად შედეგი გამოიღო.

იან რაშის პასით შარპმა ძლიერად დაარტყა, თუმცა ვერ შეაგდო, მაგრამ ლიდსელმა ორმა ახალწვეულმა 58-ე წუთზე თავისი მაინც გაიტანა. ასისტენი ისევ რაში იყო, გოლის ავტორი — შარპი.

„უიმბლდონი" დანებებას არ აპირებდა. ნილ ერდლიმ და გეილმა მასპინძლების 2,25 მილიონ გირვანქად ღირებულ მეკარეს კიდევ ორჯერ გამოავლენინეს სისხარტე და უნარი.

72-ე წუთზე კი „ლიდსს" ანგარიში უნდა გაეზარდა. მოედანზე ათი წუთის შესულმა გერი კელიმ ბოუიერი შესაშურ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ 2,6 მილიონად შეფასებულმა ჭაბუკმა კარს ააცილა.

კელიმ ამ დიდებული პასის გარდა დაცვაშიც გაიბრწყინა. საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე რობი ერლის მაღალი თაური ხაზიდან გამოიტანა და ხამი ქულა იხსნა.

# ვინ მოვა «სიტიში»?

## მეჩვიდმეტე თუ მეთვრამეტე?

ზოგი ამბობს, ალან ბოლი უიღბლო მწვრთნელიაო, ზოგიც უნიჭობას აბრალებს. ასეა თუ ისე, ჩვენი გიორგი ქინქლაძისა და მიხეილ ჟაველაშვილის „მანჩესტერ სიტი" სულაც არაა პირველი გუნდი, რომელიც მის ხელში ლიგიდან გავარდა. შემდეგ დაიწყო ახალი სეზონიც და მოგეხსენებათ, „სიტიმ" სამიდან ორი შეხვედრა წააგო.

ასეთია წინაისტორია. ორშაბათ საღამოს კი ბოლი, ყრმობის მეგობარ და კლუბის პრეზიდენტ ფრენსის ლისთან შევიდა და განუცხადა რომ გადადგომას აპირებს. რამდენიმე ჭიქა ვისკისა და გულითადი საუბრის შემდეგ ლიმ მწვრთნელის პრობლემები გულთან ახლოს მიიტანა.

— ალანმა მითხრა, რომ იგი ის კაცი არაა, გადადგომა და საქმის მიტოვება რომ სჩვეოდეს, მაგრამ მისი აზრით, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, ამჟამად უკეთესი გზა არ არსებობს — მოუთხრო გუშინწინ ჟურნალისტებს „სიტის" პრეზიდენტმა — მისი გადაწყვეტილება უდაოდ ვაჟკაცურია და ვფიქრობ, ძირითადად გულშემატკივართა განწყობილებას ეხმაურება. როცა ქომაგები მწვრთნელზე გულს იცრუებენ, მათი ნდობის ხელახალი მოპოვება ძნელზე ძნელია. ბოლმა კარგად იცოდა, რომ ახლა ზედიზედ სამი თამაშიც რომ მოეგო, პირველივე, შემდგომ მარცხს კვლავ მას დააბრალებდნენ.

ალან ბოლის შესახებ ორშაბათ საღამოს ამბების შემდეგ აღარაფერია ცნობილი. იგი საქვეყნოდ გამოჩენას თავს არიდებს. ინგლისელმა ჟურნალისტებმა მასთან სახლში დაკავშირება სცადეს, მაგრამ ყურმილი მეუღლემ აიღო და თქვა, რომ ალანს რამდენიმე დღის მანძილზე პრესასთან ურთიერთობა არ სურს, რადგან თვლის, რომ გაზეთები მის მიმართ უსამართლონი იყვნენ.

ასეა ძველი ხელმძღვანელის და მისი გადადგომის საქმე. ჩემპიონატი კი გრძელდება და გუნდს ახალი თავკაცი სჭირდება. ფრენსის ლიმ „მეინ როუდზე" გამართულ პრეს-კონფერენციაზე უპირატესად სწორედ ამაზე ილაპარაკა. ვინ სურს ლის მწვრთნელად? ჯორჯ გრემი, ბრუს რიოქი, კენი დალგლიში, ჯეკ ჩარლტონი, სტივ მაკმაჰონი.

საინტერესო დეტალი: პრეს-კონფერენციის დაწყებამდე (დილის 11 საათი იყო) რამდენიმე წუთით ადრე ჯორჯ გრემმა რადიოინტერვიუში განაცხადა — „სიტიში" მუშაობაზე ყაბულს ვარ, მაგრამ პირადად ჩემთვის კლუბიდან არავის მოუმართავსო.

გრემთან დაკავშირებით ასეთ რამეს ამბობენ: მაინც საეჭვოა პირველი დივიზიონის „მანჩესტერ სიტიში" დაიწყოს მუშაობა, რადგან მისი მიწვევა პრემიერლიგის გუნდებს სურთ, მაგალითად „ლიდს იუნაიტედს", რომლის მწვრთნელმა ჰოვარდ ვილკინსონმა ნდობა დაჰკარგაო.

საქმე სხვაცაა — ფინანსები. პრემიერლიგის გუნდებს, მოგეხსენებათ, დიდძალი ფული აქვთ, „მანჩესტერ სიტიზე" კი ამბობენ, ყელამდე ვალებშიაო. ასე, რომ, ამა თუ იმ ამბიციურ სპეციალისტს, რომც უნდოდეს, ქვედა დივიზიონის გუნდი ზეცაში ატყორცნოს და ამით სახელი გაითქვას, თუ კარგი ფეხბურთელები არ იყიდა, ამაოა ყველაფერი.

სწორედ უსახსრობის გამო გამორიცხავენ მანჩესტერელთა მწვრთნელად კენი დალგლიშის მისვლას. ყველას კარგად ახსოვს, რატომ დათანხმდა ხუთი წლის წინ დალგლიში „ლივერპულიდან" „ბლექბერნ როვერსში" გადასვლას. მიზეზი მარტივი იყო: „ბლექბერნის" მეპატრონემ ჯეკ უოქერმა აღუთქვა, მოთამაშეების საყიდლად რამდენსაც მომთხოვ, იმდენ ფულს მოგცემო.

რაც შეეხება ჯეკ ჩარლტონს, იგი საპენსიო ასაკისაა, თორემ რაც მან ირლანდიის ნაკრებთან ჩაიდინა, სასწაული იყო და მეტი არაფერი, უკეთეს ხელმძღვანელს კაცი ვერ ინატრებ. სტივ მაკმაჰონი ერთი ხანობა „სიტიში" თამაშობდა, შემდეგ „სვინდონ თაუნის" წარმატებული მწვრთნელი იყო, მაგრამ მაინც შედარებით გამოუცდელია.

ახლა, ამ ცოტა ხნის წინ „არსენალიდან" წასული ბრუს რიოქის ამბავიც ვიკითხოთ. ადრე იგი სამი წელი „ბოლტონში" მუშაობდა და შარშან ზაფხულში ფრენსის ლის, ბრაიან ჰარტონის შემცვლელად უპირველესად მისი მიწვევა სურდა, მაგრამ რიოქს გულმა ლონდონისკენ გაუწია და „მანჩესტერ სიტის" პრეზიდენტმაც ძველ მეგობარ ალან ბოლს უხმო. სხვათა შორის, მაშინ ლი „მანჩესტერ იუნაიტედის" ასისტენტ-მწვრთნელს ბრაიან კიდსაც ურიგდებოდა, თუმცა ეს საქმე ჩაიშალა.

მაშ ასე — ეტყობა, ყველაზე რეალური, მაინც ჯორჯ გრემის კანდიდატურაა. მას 12 თვიანი დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და, შესაძლოა, ბოლო 16 წელიწადში „სიტის" მეთერთმეტე მწვრთნელი გახდეს.

ვინ არის გრემი და რა დისკვალიფიკაციაზეა ლაპარაკი?

თავის დროზე ამ ისტორიას „სარბიელი" შეეხო, მაგრამ კარგად რომ გავიხსენოთ, 1995 წლის 22 თებერვლის „დეილი ტელეგრაფში" ჩავიხედოთ.

იქ სწერია, რომ ჯორჯ გრემი, „არსენალის" მეჩვიდმეტე მწვრთნელი, გუნდს რვანახევარი წლის განმავლობაში ედგა სათავეში და ამხნის მანძილზე შინ და გარეთ ექვსი ჯილდო მოიპოვა. შემდეგ კი პრემიერლიგის საგამოძიებო კომისიამ მოკვეთა. მიზეზი: 50 წლის შოტლანდიელმა მწვრთნელმა ჯონ იენსენის ტრანსფერში უკანონო ფული აიღო. ასეთი იყო უპირველესად თავად „არსენალის" ხელმძღვანელთა ბრალდება, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ნაცვლად კონტრაქტის პატიოსნად გაფორმებისა, გრემმა საქმე ისე გაახერხა, რომ ჯიბეში ჩასადები თანხა გამოძებნა და ჩაიდო კიდეც. მწვრთნელი ამ ბრალდებამ, ცხადია, აღაშფოთა. საკუთარი გუნდის შეფთა ასეთ ვერდიქტს მან „კენგურუს სასამართლოს დადგენილება" უწოდა.

— რაღაა ფეხბურთის მომავალი, თუ მის სამყაროში სიმართლის ამგვარი სტანდარტები დაინერგება? მე მივმართავ გულშემატკივრებს და პრესას: ჩავატაროთ ღია, ალალი გამოძიება და გამოჩნდება, რომ უდანაშაულო ვარ — აცხადებდა აღშფოთებული.

„ჰაიბერიზე" მართლაც შეიკრიბა გრემის მეგობართა და მხარდამჭერთა ლაშქარი. მათ მწვრთნელისადმი ერთგულება საკმაოდ ემოციურად გამოხატეს, მაგრამ ვერ უშველეს.

მის ნაცვლად „არსენალმა" ბრუს რიოქი მიიწვია. ახალმა თავკაცმა გუნდში სულ 61 კვირა დაჰყო. ახლახანს, 12 აგვისტოს კი კლუბის მენეჯერთა კრებამ ერთხმად გადაირჩია. კლუბის მომავლისთვის ასე უმჯობესიაო.

„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელად არც ბრუს რიოქის დანიშვნაა გამორიცხული.

## იონკი ისევ ნაკრებშია

კვირას ამსტერდამში ჰოლანდიის ნაკრები ბრაზილიისას ეთამაშება. ნიდერლანდელთა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ნაკრებში კვლავ დააბრუნა ვიმ იონკი, რომელსაც 14 თვეა ეროვნულ გუნდში არ უთამაშია. იმავე შეხვედრაში შედგება „ფეიენოორდის" ნახევარმცველის ჟან-პოლ ვან გასტელის დებიუტი. ჰიდინკს არ დაუსახელებია დენი ბლინდის შემცვლელი, რომელმაც გასულ კვირას განაცხადა, რომ ნაკრებში აღარ ითამაშებს.

**მეკარეები:** ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი), ედ დე გუი (ფეიენოორდი); **მცველები:** ფრანკ დე ბური, ჯონ ფელდმანი (აიაქსი), იააპ სტამი, არტურ ნუმანი (ეინდჰოვენი), მიქაელ რაიციგერი (მილანი), იოჰან დე კოკი (შალკე 04); **ნახევარმცველები:** რიხარდ ვიჩხე, რონალდ დე ბური (აიაქსი), ფილიპ კოკუ, ვიმ იონკი (ეინდჰოვენი), აარონ ვინტერი (ინტერი), ჟან-პოლ ვან გასტელი (ფეიენოორდი), კლარენს ზეედორფი (რეალი); **თავდამსხმელები:** გასტონ ტაუმენტი (ფეიენოორდი), ჯორდი კრუიფი (მანჩესტერ იუნაიტედი), დენის ბერხკამპი (არსენალი).

## ფრანგმა ბრაზილიელი გალახა

შაბათს, შვეიცარიის ჩემპიონატში „ქსამაქსმა" „სენტ გალენს" 3:0 მოუგო, მაგრამ თამაშს გვარიანი ჩხუბიც მოჰყვა. „ქსამაქსის" ფრანგმა ჟან-პიერ სიპრიენმა მეტოქის ბრაზილიელ კლაუდიო მოურას ჩასცხო. როდესაც მოჩხუბართა გასაშველებლად მწვრთნელები დაფაცურდნენ, სიპრიენმა ერთიც მოიქნია, ოღონდ მოურას ააცილა და „სენტ გალენის" მწვრთნელს როჯერ ჰეგის მიარტყა მუცელში. ფრანგ ფეხბურთელს ცხრა თვით აუკრძალეს თამაში, ბრაზილიელს კი შვიდ მატჩს გამოატოვებინებენ. ფინანსური სასჯელი კი ასეთია: ფრანგს 8 400 დოლარი, ბრაზილიელს — 840.

ამ ვერდიქტის გამო „ქსამაქსმა" ფეხბურთის ფედერაციაში საჩივარი შეიტანა. საქმე ისაა, რომ მოურა მთელი მატჩის განმავლობაში აღიზიანებდა სიპრიენს, თამაშის ბოლოს კი პირველი მან მიჰკრა.

— ეს რა გამოდის? ვინმემ რომ გამარტყას ხელი, ველარ შემიბრუნებიაო — თქვა „ქსამაქსის" პრეზიდენტმა ჟილბერ ფაკინეტიმ.

სიპრიენს საფრანგეთის ნაკრებში ერთხელ, 1994 წელს აქვს ნათამაშები.

## იბირჟავეთ!

იტალიის მთავრობამ ზოგ საფეხბურთო კლუბს ნება დართო მონაწილეობა მიიღონ საფონდო ბირჟის ვაჭრობებში. აქამდე ამ ქვეყნის კლუბები, ოფიციალურად, არაკომერციულ ორგანიზაციებად ითვლებოდნენ და მათ მდიდარი პატრონები ინახავდნენ. დღეიდან, ისეთი კლუბები, როგორებიც არიან, მაგალითად „მილანი" და „იუვენტუსი" სრულიად კანონიერად და უშუალოდ ჩაებმებიან დიდ ბიზნესში. იტალიის მთავრობის წარმომადგენლის თქმით, დადგა დრო, როდესაც სახელმწიფომ რეალობას თვალებში უნდა შეხედოს. ამით ყველა სადაო საკითხი არ ამოწურულა. მთავრობამ ჯერ კიდევ უნდა განიხილოს საფეხბურთო სამყაროსთვის დაწესებული გადასახადების საკითხი.

## ესეც ბარსელონაში

„ბარსა" გადაირია. ამ მართლაც უნიკალურ და უძლიერეს გუნდს პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუა აკლდა.

ამ ფეხბურთელმა ორშაბათს განაცხადა, რომ კატალონიურ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. პორტუგალიური რადიო TSF-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კოუტუმ თქვა, რომ ამიერიდან თანამემამულეებთან ვიტორ ბაიასა და ლუიშ ფიგუსთან ერთად ითამაშებს. პორტუგალიური გაზეთების ცნობით, ტრანსფერი 3,3 მილიონ დოლარად განხორციელდა.

## ჩვენმა მეტოქემ

საქართველოს ნაკრების მეტოქემ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, პოლონეთის ეროვნულმა გუნდმა ბელხატოვში, ამხანაგურ შეხვედრაში უმასპინძლა კვიპროსს და 2:2 ითამაშა. ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. თავიდან პოლონელები დაწინაურდნენ — 46-ე და 57-ე წუთზე კშიშტოფ ვარეიხამ და მარსინ მისიელმა გაიტანეს. სტუმართაგან კლიმის ალექსანდრიუმ 75-ზე შეამცირა სხვაობა, ზოლო კოსტას მალეკოსმა მე-80-ზე ანგარიში გაათანაბრა.

## ხუთნი „სტიაუადან"

შაბათს რუმინეთის ნაკრები ლიტველებთან შეხვედრით იწყებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს. როგორც რუმინელთა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ განაცხადა, ინგლისის „ვესტ ჰემში" მოთამაშე ფლორინ რადუჩოიუ და ილიე დუმიტრესკუ ამასწინდელ ტრავმათა გამო თამაშში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

— ეროვნულ გუნდს რადუჩოიუ და დუმიტრესკუ ძლიერ სჭირდებიან, მაგრამ ისინი ახლა, მნიშვნელოვანი მატჩისთვის, მზად არ არიან —. თქვა იორდანესკუმ.

ვერ ითამაშებს „სტიაუას" მარიუს ლეკეტუშიც, იმავე გუნდის სხვა ხუთი ფეხბურთელი კი მწყობრშია. მათ შორისაა ადრიან ილიე, რომელმაც ჩემპიონთა თასის წინასწარ ეტაპზე ბელგიის „ბრიუგეს" ხუთიდან ოთხი გოლი გაუტანა.

— რუმინეთს მცირე შეცდომის დაშვების უფლებაც კი არ აქვს. ჩვენს შესარჩევ ჯგუფში ყველა მეტოქესთან მობილიზებულნი უნდა ვიყოთ — ბრძანა მწვრთნელმა.

რუმინელთა გარდა ჯგუფში არიან ირლანდია, ისლანდია, ლიტვა, მაკედონია და ლიხტენშტაინი.

**მეკარეები:** ფლორინ პრუნია, დანიელ გრასიმი; **მცველები:** დან პეტრესკუ, იულიან ფილიპესკუ, დანიელ პროდანი, ტიბერიუ კურტი, კორნელ პაპურა, ტიბორ სელიმეში; **ნახევარმცველები:** დორინელ მუნტიანუ, გეორგ ჰაჯი, გეორგ პოპესკუ, იონუტ ლუპესკუ, კოსტელ გილჩა, ოვიდიუ სტინგა, გაბრიელ პოპესკუ; **თავდამსხმელები:** ვიორელ მოლდოვანი, ადრიან ილიე, გეორგ კრაიოვიანუ, რადუ ნიკოლესკუ.

## გარდაიცვალა ლიბუდა

52 წლისა გულის შეტევისგან გარდაიცვალა დიდ გარემარბად ცნობილი რაინჰარდ ლიბუდა. ლიბუდა 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა და ნახევარფინალს მიაღწია, თამაშობდა „შალკესა" და „დორტმუნდში". 1966 წელს „დორტმუნდის" შემადგენლობაში „ლივერპულს" მოუგო და თასების თასი მოიპოვა.

მისი ბედი 1972 წელს იცვალა, როდესაც გერმანულ ფეხბურთში ატეხილი ცნობილი მექრთამეობის სკანდალის გამო ლიბუდას დისკვალიფიკაცია მისცეს. შემდეგ დისკვალიფიკაცია მოუხსნეს, მაგრამ გვიან იყო — ფეხბურთელი ლოთობდა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყოფილი ვარსკვლავი კიბოთი იყო ავად. დღეს კი მის მშობლიურ ქალაქ გელზენკირხენში ერთ-ერთი რელიგიური ჯგუფის ცნობილ პლაკატს „იესოს ვერენ მიუახლოვდება" მავანმა მაწერა — „ლიბუდას გარდა".

## ფრეზე უფრო ფრე

ამხანაგური მატჩი. 28 აგვისტო. მოსკოვი

**რუსეთი 2:2 ბრაზილია**

**რუსეთი:** ჩერჩესოვი, მამედოვი, ნიკიფოროვი, ტიხონოვი (ხარლაჩოვი 63), ტერნავსკი, თეთრაძე, ონოპკო, კანჩელსკისი, ვერეტენნიკოვი (რადიმოვი 15), კოლივანოვი (კეჩინოვი 76), რადჩენკო (ბესხასტნიხი 67)

**ბრაზილია:** ჟერმანო, კაფუ, გონსალვესი, კრუზი, ზე ელიასი, რუისი, დონიზეტი, ამარალი, ჟოვანი, ლეონარდო (ზე მარია 80), რონალდო (ჟარდელი 89)

**გოლი:** ნიკიფოროვი (18 პ), დონიზეტი (48), რადიმოვი (81), რონალდო (85 პ)

**გაძევება:** კაფუ, ონოპკო

რუსებს მე-15 წუთმა უშველა. ვერეტენნიკოვს ფეხი რომ არ დაშავებოდა და მის ნაცვლად რადიმოვი არ შეეყვანათ, ვინ იცის, რა მოხდებოდა. თუმცა, ისეთი რა უნდა მომხდარიყო: ამ ამხანაგურ მატჩს ალბათ წააგებდნენ და მორჩა. ისე, განსაკუთრებული შთაბეჭდილება არც ბრაზილიელებს მოუხდენიათ. ის, რომ მათ მოთამაშეებს ბურთით გალაღება შეუძლიათ, სიურპრიზი ნამდვილად არ იყო. აქ სხვა რამეს, გუნდურ თამაშს ვგულისხმობთ. ცხადია, ისიც გვესმის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ ორი წელიწადია და ამხანაგური მატჩები სწორედ გუნდური თამაშის დასახვეწადაა მოგონილი. წუხელ კი ისე მოხდა, რომ მე-15 წუთზე მოედანზე რადიმოვი შევიდა.

მანამდე: მე-5 წუთზე კოლივანოვმა მარცხნიდან მიიღო ბურთი და საჯარიმოს მისადგომებიდან ააცილა. მე-10 წუთზე რუსები სწრაფად ათამაშდნენ და კუთხურს მიაღწიეს. კუთხური უშედეგო იყო, იქედან წამოღებული ბურთი კი ჯოვანიმ დაბლა დაარტყა — ჩერჩესოვმა აიღო. მერე ტიხონოვმა კარგი მდგომარეობიდან ზუსტად ვერ დაარტყა. ამასობაში დაშავდა ვერეტენნიკოვიც და იგი რადიმოვმა შეცვალა.

მე-18 წუთი: რადიმოვი ზე ელიასმა საჯარიმოში წააქცია. შეტევა ისევ მარცხნიდან განვითარდა. ბულარუსმა ჟუკმა პენალტი დანიშნა, რომელიც ნიკიფოროვმა მეკარისგან მარჯვენა კუთხეში დაარტყა.

ბრაზილიამ ხელად სცადა საქმის გამოსწორება, ზედიზედ ორი კუთხურიც ჩააწოდა, მაგრამ უგოლოდ. რუსები პერსონალურად და მჭიდროდ თამაშობენ. სტუმრებს კომბინაციების დალაგება უჭირთ.

29-ე წუთზე კანჩელსკისმა მარჯვნიდან საჯარიმოში რადჩენკოს მიაწოდა. რადჩენკომ ერთი შეხებით დაარტყა, მაგრამ ააცილა — დინამიური, სახიფათო მომენტი იყო. ერთ წუთში რონალდო შეიჭრა საჯარიმოში, შორეულ კუთხეში დაარტყა, ჩერჩესოვმა ფეხით მოგერიება სცადა, მაგრამ ვერც მეკარემ მიაღწია მიზანს და ვერც ფორვარდმა. ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ლეონარდომ ჯარიმიდან ცოტათი ააცილა. მერე ჯარიმიდანვე რადჩენკოს დარტყმა ჟერმანომ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი სხვანაირი იყო — უპირატესობა ბრაზილიელებმა იგდეს ხელთ. პირველივე ღირსშესანიშნავი, რაც მოხდა, გოლი გახლდათ. ბურთი შუაში ჯოვანიმ მიიღო. მის ახლომახლოს სამი რუსი იდგა, რომელთაგან ერთი ეძიძგილავებოდა. ჯოვანიმ ოდნავ განზე, მარჯვენა ინსაიდის პოზიციაზე დონიზეტის გადააწოდა, მის წინ კი მხოლოდ ტერნავსკი დარჩენილიყო. ბრაზილიელ ნახევარმცველს ტერნავსკის გვერდით ავლა არ გასჭირვებია, მეკარესთან პირისპირ შევიდა და დაარტყა. ბურთი ჩერჩესოვს კი შეეხო, მაგრამ გეზი არ დაუკარგავს — ანგარიში გათანაბრდა.

ამ ეპიზოდიდან ასე, ხუთი-შვიდი წუთის განმავლობაში სტუმრები იმავე მდგომარეობიდან დონიზეტის კვლავ ხელსაყრელ პოზიციაზე გაყვანას ლამობდნენ: ყველაზე ეფექტურად ეს გამოუდიოდათ.

69-ე წუთზე საოცარი რამ მოხდა. მეკარის ბაქანთან მდგომმა ჯოვანიმ მარცხნიდან ჩაწოდებულს ორჯერ დაარტყა. ბურთი ჯერ ხარლაჩოვმა გამოიტანა ხაზიდან, განმეორებით დარტყმული ხარიხამ ჩამოაგდო, მესამედ დონიზეტის დამატებულს კი ჩერჩესოვი დაუხვდა.

რუსებს არსენალში სწრაფი კონტრშეტევები რჩებოდათ, თუმცა დამაგვირგვინებელ დარტყმამდე საქმის მიყვანა უჭირდათ. ერთი ამგვარი მომენტის დროს, 76-ე წუთზე კაფუმ კოლივანოვი წააქცია და მეორე ყვითელს ანუ წითელს გამოჰკრა ხელი. 78-ზე რონალდომ დაარტყა, ჩერჩესოვი იოლად დაეუფლა.

დარტყმა როგორი უნდა, 81-ზე რადიმოვმა აჩვენა. მისი 30 მეტრიდან გასროლილი ცხრიანში შეფრინდა.

ხოლო როგორ არ უნდა ჩამორჩე რადიმოვს, ეს დონიზეტიმ აჩვენა. თუკი რუსმა ერთი გაიტანა და ერთიც პენალტი მოიპოვა, ბრაზილიელი მხოლოდ გოლით ხომ არ დაკმაყოფილდებოდა და თუმც ჭრავის წაუქცევია, მარჯვნიდან მისი პასი ტერნავსკიმ ხელით ჩაჭრა. პენალტი რონალდომ მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში დაარტყა, ჩერჩესოვი კი მარცხნივ გადახტა. როცა ჟუკი თერთმეტმეტრიანს ნიშნავდა, ონოპკომ რაღაც „რუსულად" გააპროტესტა და წითელი ნახა — აქაც თანაფარდობა. ბოლო წუთები ორმხრივი იყო. ბოლო წამებში კი რადიმოვმა ბრაზილიელებს ცოტა ჩაუდრიბლინგა.

## კალათბურთი

# ყოჩაღი ბიჭები გვყოლია

ახლახან რიგაში დასრულდა კადეტთა (1981 წელს და მერე დაბადებულთა) ევროპის პირველობის ნახევარფინალური ტურნირი, სადაც შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა და ევროპის პირველობის ფინალური ეტაპის საგზური დაისაკუთრა. ეს პირველი შემთხვევაა სპორტის სათამაშო სახეობების ისტორიაში, ყველა ასაკის გათვალისწინებით, როცა ჩვენმა გუნდმა ასეთი მაღალი რანგის ტურნირზე ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ჩვენ გავესაუბრეთ გუნდის უფროს მწვრთნელს ნიაზ დანელიას.

**— პირველ რიგში, გილოცავთ. თუ მოელოდით ამ წარმატებას?**

— ყველა მწვრთნელი ოცნებობს გამარჯვებაზე, მაგრამ იმედი მცირედი თუ მქონდა. თავად განსაჯეთ, როგორი საკალათბურთო ქვეყნების გუნდები გამოდიოდნენ ჩვენს ჯგუფში: საბერძნეთის (წინა ჩემპიონატის მესამე პრიზიორი), იუგოსლავიის, ლატვიის, პოლონეთის და უკრაინის.

**— როგორ წარიმართა ტურნირი?**

პირველი შეხვედრა მასპინძლებთან გვქონდა. ლატვიელებს, რა თქმა უნდა, მტკიცედ ჰქონდათ გამიზნული სამეულში მოხვედრა, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს. აღსანიშნავია იუგოსლავი მსაჯის ძალზე არაობიექტური მსაჯობა. ჩვენდა ბედად, მისი პარტნიორი ფინელი არბიტრი იყო, რომელიც არა მარტო ამ შეხვედრაში, საერთოდ, ტურნირზე მიუკერძოებელი და მაღალკვალიფიკაციური მსაჯობით გამოირჩეოდა. ლატვიას ძალზე კარგი გუნდი ჰყავს და ისინი დაწინაურდნენ, თუმცა მათი უპირატესობა 3-4 ქულას არ აღემატებოდა. იუგოსლავი მსაჯის არაობიექტურობის ბრალი იყო, რომ ჩვენს ლიდერს, ვლადიმერ ბოისას, ფაქტიურად, ეს მატჩი არ უთამაშია. უკვე ექვს წუთში იუგოსლავმა მას სრულიად უსაფუძვლოდ სამი პერსონალური შენიშვნა მისცა. ბოისა დავასვენეთ, მეორე ტაიმის დაახლოებით მე-10 წუთზე შევიყვანეთ და მსაჯმა მეოთხედაც დააჯარიმა. ბოისა ისევ შევცვალეთ და მხოლოდ დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შევუშვით მოედანზე. ჰაერში ბურთისთვის ბრძოლაში ოთხი მოთამაშე ახტა და იუგოსლავმა მსაჯმა, რა თქმა უნდა, ბოისა „გამოარჩია“ — მე-5 პერსონალური. ეს ყველაფერი იმიტომ გიამბეთ, რომ გეგრძნოთ, რა ვითარებაში არ შედრკნენ ბიჭები. შესანიშნავად ითამაშა ჩვენმა გამთამაშებელმა ნიკო ვეფხვაძემ, რომელმაც გუნდს 26 ქულა შესძინა. მატჩის ბოლოს, 21 წამით ადრე, ანგარიში თანაბარი იყო, ბურთს ჩვენ ვფლობდით. წუთშესვენება მოვითხოვეთ. ჩვენებმა ბოლომდე გაათამაშეს ბურთი და საბოლოო ზუსტმა ნატყორცნმა გამარჯვება მოგვიტანა. აღსანიშნავია, რომ ფინელი არბიტრის დაჟინება რომ არა, იუგოსლავი ამ ბურთის ჩათვლასაც არ აპირებდა — 69:67. ჩემი აზრით, ეს იყო ტურნირის საუკეთესო მატჩი. შეხვედრის შემდეგ გამარჯვება თვით განთქმულმა ლატვიელმა ვალდის ვალტერსმა მოგვილოცა.

მეორე მატჩი აშკარა ფავორიტებთან — ბერძნებთან გველოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, პირველი თხუთმეტი წუთი მთელი ძალით გვეთამაშა და, თუ არ გაგვიმართლებდა, ძალები დაგვეზოგა. მე-8 წუთზე 16:4-ს ვიგებდით, შემდეგ 24:17-ს, 28:21-ს, მაგრამ ტაიმი შვიდი ქულით წავაგეთ. ყველაფერი უკვე ნათელი იყო და მეორე ტაიმში სათადარიგო შემადგენლობა ვათამაშეთ. თავი მაინცდამაინც აღარ შევიწუხეთ, პირველ ტაიმში გამწარებულმა ბერძნებმა კი არ დაგვზოგეს და 112:66 მოგვიგეს. ტურნირის მსვლელობამ დაადასტურა, რომ სწორად მოვიქეცით. ვინც ბერძნებს თავი შეაკლა, მერე წელში ველარ გაიმართა.

მესამე მატჩი უკრაინელებს მოვუგეთ. ჩემთვის და ყველასათვის ძალზე მოულოდნელი იყო მათი სუსტი თამაში. უკრაინელებს ძალზე ადვილად მოვუგეთ. მათ ყველა მატჩი წააგეს და ძალზე უსახური თამაშიც აჩვენეს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდს წარსულში ცნობილი უკრაინელი კალათბურთელი ვადიმ გლადუნი წვრთნის.



გადამწყვეტი იყო მეოთხე შეხვედრა პოლონელებთან. იმ დღეს უნდა მოგვეგო, ხოლო იუგოსლავიას ლატვია უნდა დაემარცხებინა, ფინალის საგზური რომ გაგვენაღდებინა. თუ არა და, ბოლო მატჩში იუგოსლავებთან არ უნდა დავმარცხებულიყავით. საბედნიეროდ, იმ დღეს ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდა. ლატვიელებმა, რომელთაც წინა დღეს ბერძნებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ერთი ქულით წააგეს, იუგოსლავების ძლევა ვეღარ შეძლეს და სასტიკად დამარცხდნენ. ასე გავინაღდეთ ფინალის საგზური.

ბოლო თამაშს იუგოსლავებთან არც ერთი გუნდისთვის აღარ ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა და ამიტომ ორივე ნაკრებმა ლაღი, ხანხაობრივი კალათბურთი ითამაშა. აქ უკვე ყველა კალათბურთელი ვათამაშეთ, ისინიც, ვინც მანამდე სათადარიგოთა სკამზე უფრო იჯდა და თამაშიც საინტერესო გამოდგა. ბოლო წუთზე ორ ქულას ვიგებდით, მაგრამ იუგოსლავებმა გაათანაბრეს. პირველი დამატებითი დროც ფრედ დამთავრდა და მხოლოდ მეორე დამატებითში წავაგეთ — 82:84.

საბოლოოდ, ბერძნებმა პირველი ადგილი დაიკავეს, იუგოსლავებმა მეორე, ჩვენ — მესამე. ამ სამმა გუნდმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება.

**— იუგოსლავები როგორ ეთამაშნენ ბერძნებს?**

— მათაც შეგნებულად არ ითამაშეს სრული ძალით და 25 ქულით წააგეს. თუმცა ბერძნებმა ჩვენ პირველი ტაიმის თავხედობისთვის „დაგვსაჯეს“, იუგოსლავებმა კი თავიდანვე აგრძნობინეს, რომ ბრძოლას არ აპირებდნენ.

**— როგორი გამოხმაურება ჰქონდა თქვენს წარმატებას უცხოელებს შორის?**

— ძალზე გაკვირვებულები დარჩნენ. არაფრით ელოდნენ. ის კი არა, როცა ვარშავიდან სასტუმროში დარეკეს და ჩვენი გუნდის უფროსმა შეატყობინა, ქართველებმა პოლონელები დაამარცხესო, ისინი კარგა ხანს არ იჯერებდნენ ამ ამბავს. ეს გასაგებიცაა. ყველა ნაკრებს, ვისაც კი ვეთამაშეთ, წელს ათ საერთაშორისო ტურნირში მაინც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, ჩვენთვის კი ეს შეჯიბრი, ფაქტიურად, პირველი იყო.

**— სიმაღლის პრობლემა ხომ არ გქონდათ? ჩვენს გუნდებს თითქმის ყოველთვის ეს აწუხებს...**

— ამ შემთხვევაში — არა. ნიჟარაძის სიმაღლე 208 სანტიმეტრია, ბოისასი — 203. ლოსაბერიძე (197), ტაბალუა (198), ბაბიაშვილი (196), კვაჭაძე (196), ალბათ დამეთანხმებით, ამ ასაკისთვის საკმაოდ ტანმაღალნი არიან.

**— როგორ ფიქრობთ, რის წყალობით მიაღწიეთ წარმატებას?**

— არ მინდა, ეს ვინმემ ბაქიბუქობაში ჩამომართვას, მაგრამ არის, ალბათ, ქართულ გენში რაღაც ფენომენი, რომელიც, დამიჯერეთ და, სხვა გუნდებში ვერ დავინახე.

**— ახლა გუნდის შესახებაც გვითხარით...**

— გუნდის უფროსია ჯონი ქარჩავა, სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ ამ ტურნირში მონაწილეობას. სპორტის დეპარტამენტმა სატურნირო შესატანი 3 000 დოლარი გადაგვიხადა, ყველაფერი დანარჩენი კი ჯონი ქარჩავამ ითავა. მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის სასახლის დირექციას, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვითმო სარბიელი და საშუალება მოგვცა ტურნირისთვის მომზადებულიყავით. მადლობას ვუხდი ნაკრების მოთამაშეთა მშობლებსაც, რომელთა ხარჯებითაც მოხერხდა ბაზალეთზე შეკრების მოწყობა. არ მინდა მადლობის გარეშე დავტოვო მწვრთნელებიც, რომელთაც ნაკრების მოთამაშეები მოამზადეს: ოთარ ხმელიძე, ვაჟა კვარაცხელია, თამაზ ოქრუაშვილი, ნიკო ჩერქეზიშვილი, ზვიად დილბერიძე, ნუგზარ მარკოიშვილი და ნუგზარ კანდელაკი.

**— სად და როდის გაიმართება ფინალი?**

— ფინალი 1997 ივნისში გაიმართება ბელგიაში. მასპინძლები, ხორვატები (ჩემპიონები) და ესპანელები (ფინალისტები) პერსონალურად არიან მიწვეული, დანარჩენი ცხრა გუნდი კი ნახევარფინალიდან გავიდა. ჩვენ აქედანვე ვაპირებთ ამ შეჯიბრისთვის მზადების დაწყებას, რადგან გვინდა, ბელგიაში ღირსეულად გამოვიდეთ. თუმცა ეს ძნელი იქნება, რადგან ევროპის კალათბურთის დონე ძლიერ ამაღლდა...

კადეტთა ნაკრები გუნდების პირველობა ყოველთვის წარმოაჩენდა ახალ სახელებს. სწორედ კადეტთა პირველობაზე გამოჩნდნენ პირველად ევროპული კალათბურთის ამჟამინდელი ვარსკვლავები: დივაცი, რაჯა, იკონომუ, კომაზეცი. როგორც ბატონმა ნიაზმა გვითხრა, რიგის ტურნირის ზოგიერთი მონაწილე უეჭველად ითამაშებს დიდ კალათბურთს. ამიტომ, მოდით, დავიხსომოთ ეს გუნდი და დაველოდოთ მომავალს:

ნიკოლოზ ვეფხვაძე, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი გაგნიძე, ლექსო არჩვაძე, ირაკლი ქარჩავა, ბაჩანა ხულაძე, ირაკლი ნიჟარაძე, ლაშა ლოსაბერიძე, დავით კვაჭაძე, ვლადიმერ ბოისა, ბესო ტაბალუა, ლაშა ბაბიაშვილი.

**კოტე მგალობლიშვილი**

## ჰოკეი

# სკანდინავიური დასაწყისი

მსოფლიო თასის გათამაშება შვედეთ-გერმანიის მატჩით დაიწყო. 26 აგვისტოს სტოკჰოლმში 13 ათასმა მაყურებელმა იხილა ის, რაც უეჭველად უნდა მომხდარიყო — შვედებმა დამაჯერებლად, 6:1 გაიმარჯვეს.

შვედებს მსოფლიო თასზე გამოსვლის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ. მათ ერთხელ, 1984 წელს ფინალშიც გააღწიეს და კანადელებთან 2:5 და 5:6 დათმეს, ორჯერ (1987, 1991 წლები) კი ნახევარფინალისტებიც იყვნენ. შვედებმა ბოლო თასზე მოასპარეზე შემადგენლობიდან რვა მოთამაშე შეინარჩუნეს. გერმანელებს კი მხოლოდ ერთხელ (1984) ხვდათ ამ პრესტიჟულ ტურნირში გამოსვლის პატივი და მაშინაც ერთად ერთი ქულა იკმარეს. შვედებთან თასის იმ გათამაშებაშიც დამარცხდნენ — 2:4. წელს გერმანელებს თაობათა ცვლის პროცესმა უწია და გუნდში ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებს უხმეს. ამ უთანაბრო პირობების მიუხედავად თამაშის საწყისი მესამედი თანაბარი გამოდგა და დაწინაურება ორივე მხარეს შეეძლო. მეორე პერიოდიდან კი, რა თქმა უნდა, მასპინძლებმა იძალეს. შევიწროებულმა სტუმრებმა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, უხეშობას უმატეს და დაისაჯნენ კიდეც: 33-ე და 37-ე წუთებზე ლიდსტრიომისა და ნიულანდერისგან ორი შაიბა გაუშვეს და ორჯერვე უმცირესობაში იყვნენ. მესამე პერიოდში კი გერმანელთა ახალგაზრდა მეკარის კოლციგის კარს შაიბები ისე დაესეტყვა, რომ ახალბედა ვეღარას გახდა. სუნდინმა და დალინმა 30 წამში ორი შაიბა გაიტანეს, სუნდსტრიომმა მალე მეხუთეც მიაყოლა და ნერვებდაწყვეტილი კოლციგი შესაცვლელი შეიქნა. გალაღებულმა შვედებმა ახალ მეკარეს, მერკსაც არ აცალეს გახურება და მისი გამოსვლა მეექვსე შაიბით აღნიშნეს (გარპენლოვი). გერმანელმა კანადელმა მაკეიმ შეხვედრის მიწურულს შეძლო კინკილა საპასუხო შაიბის გატანა. გამარჯვებულთა უპირატესობას კარში დარტყმების ჯამიც მოწმობს — 46-21. უკვე ნახსენებ სუნდინის, ნიულანდერის და დალინის გარდა გამოირჩეოდა შვედთა ამომავალი ვარსკვლავი, სტენლის თასის მფლობელი ფორსბერგი, რომელიც სამი გოლის ასისტენტიც გახლდათ და ამდენივე კარგი პასიც მისმა პარტნიორებმა ვერ გამოიყენეს.

მსოფლიო თასის ევროპელმა მონაწილეებმა კიდევ ერთი შეხვედრა გამართეს. ჰელსინკიში ფინელებმა ჩეხებს უმასპინძლეს. შარშანდელი და წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონების მატჩი, რა თქმა უნდა, პრინციპული იყო. ბოლო წლებში ერთობ გაყოჩაღებულ ფინელებს ჩეხი სუპერვარსკვლავების იაგრის, ნელველის და კომპანიისთვის თავიანთი ძლისა და ამბიციების საფუძვლიანობის დამტკიცება სურდათ. აქამდე მსოფლიო თასზე ასპარეზობაში უპირატესობა ჩეხთა მხარეს იყო — 3 მოგება, 1 წაგება. ფინელები მხოლოდ ერთხელ (1991) იყვნენ ნახევარფინალისტები, ჩეხების აქტივში კი ერთი ფინალი (1976) და ორი ნახევარფინალია (1981, 1987).

შეხვედრა მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ ჩეხებმა ჩვეულ ტაქტიკას მიმართეს და მეტოქე კონტრშეტევაზე წამოაგეს. თავი პერსპექტიულმა ბონკმა გამოიჩინა. მცირეოდ ხანში კი იშვიათი რამ მოხდა: 40 წამში ფინელებმა სამი შაიბა შეაგდეს (ლენტინენი, სელიანე, ილონენი). ჩეხთა ბედკრულ მეკარე ტურეკს კარში რაღა გააჩერებდა. იგი ბრიზამ შეცვალა, თუმცა თანაგუნდელთა ეგზეკუციას ვერც ის აღუდგა წინ და ოთხი შაიბა თავის წილად გაუშვა. საბოლოოდ თამაში ჩეხთათვის სამარცხვინოდ — 3:7 დამთავრდა.

## მძლეოსნობა

ბრიუსელში მეოცედ შედგა ცნობილი ბელგიელი მორბენლის ივო ვან დამის მემორიალი, რომელშიც მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი მონაწილეობდა.

შეჯიბრება ორი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. მაროკოელმა სალაჰ ხისუმ 10 000 მეტრი 26.38,08-ში გაირბინა და გააუმჯობესა ეთიოპელი ჰაილე გაბრესილასეს 5 ივნისის მიღწევა — 26.43,53. რუსმა სვეტლანა მასტერკოვამ კი მოზამბიკელი მარია მ[illegible]ოლას რეკორდი (2.29,34) დაამხო 1000 [illegible]რზე — 2.28,98. ისე, მუტოლამაც თავისი [illegible]ეკორდი ბრიუსელში დაამყარა.

ვაჟთა შორის გამარჯვებები მოიპოვეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა: ამერიკელებმა მაიკლ ჯონსონმა 400 მეტრზე — 44,29; ალან ჯონსონმა 100 მეტრზე თარჯრბენში — 12,92; დერიკ ადკინსმა 400 მეტრზე თარჯრბენში — 47,93; აგრეთვე გერმანელმა ბადრონ მტყორცნელმა ლარს რიდელმა — 66,74 მ.

ალჟირელი სუპერჩემპიონი ნურადინ მორსელი ამჯერად 3000 მეტრზე ასპარეზობდა და წარუმატებლად — მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. აქ გაიმარჯვა კენიელთა ახალმა ვარსკვლავმა დანიელ კომენმა — 7.25,87.

დამარცხდა 100 მეტრზე ოლიმპიური ჩემპიონი კანადელი დონოვან ბეილიც. მას დენის მიტჩელმა (აშშ) მოუგო — 10,09.

## ჭიდაობა

# ფესვები არ გამხმარა

იმ პაპანაქება სიცხეში იქაურობა ავტომობილებით გავსებულიყო. ჩვენც დიდი გაჭირვებით მოვძებნეთ მანქანის დასაყენებელი ადგილი, მაგრამ ნახერხმოყრილ სარბიელს ირგვლივ „ტრიბუნებზე“ ეს ველარ მოვახერხეთ. ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე იქაურობა ხალხით ისე გაჭედილიყო, როგორც კონსერვის ქილა „შპროტით“. მოზღვავებული ხალხი ხის ტოტებზეც ჩიტებივით შემომსხდარიყო და იქვე შიგადაშიგ მორღვეულ სამრეკლოზეც არ იყო ტევა. ამიტომ ზოგი



საიდან მოარბენინებდა ფიცარს და ზოგი საიდან, რათა ხარაჩოს მსგავსი რამ შეეკოწიწებინა და პაექრობისთვის იქიდან ედევნებინა თვალყური. იქით პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე იწმენდდა შუბლიდან მომსკდარ ოფლს, აქეთ „ჭიდაობის პროფესორი“ ვახტანგ ბალავაძე თუ მასსავით მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ საღარაძე— თავისუფალი სტილის მოჭიდავე ვეტერანებთან ერთად აქ იყვნენ წარსულში საყოველთაოდ ცნობილი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, სამბოსა თუ ქართული ჭიდაობის წარმომადგენლები; იქ იყვნენ სპორტული საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც და არა მხოლოდ ისინი...

მაინც, რა შეჯიბრება იყო ასეთი, ესოდენ დიდი ინტერესი რომ გამოიწვია?

აი, საკვირველი სწორედ ის არის, რომ ეს არც საქართველოს ჩემპიონატი იყო და აქ არც ქართულ ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ფალავნის გამოსავლენი ასპარეზობა გამართულა. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ რაიონული პირველობა — კასპის რაიონის გუნდური პირველობა.

ოღონდაც, შეჯიბრება გაიმართა სულხან ბახტაძის პრიზზე, იმ კაცისა, რომელიც იყო სახელოვანი ფალავანი, საქართველოს ჩემპიონი, ქართულ ჭიდაობაში მრავალი თაობის აღმზრდელი, შარშანწინ რომ გარდაცვლილა, მაგრამ ყველას სიყვარული და პატივისცემა დაუტოვა.

სწორედ ამ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება იყო უამრავი ხალხის მოზღვავება ამ ასპარეზობაზე, რომელიც გარდაცვლილის ოჯახის წევრთა ინიციატივით მისსავე სოფელ თელიანში მისივე სახლისა და სასაფლაოს პირდაპირ გაიმართა. ამ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება იყო ისიც, რომ შეკრებილი ხალხი იმ გაგანია სიცხეში, მზის გულზე, ექვსი საათის განმავლობაში ფეხმოუცვლელად იდგა. იდგა და ტაშით აჯილდოებდა ყოველ კარგად შესრულებულ კისრულსა თუ შუაკაურს, მოგვერდსა თუ სხვა რამ. ილეთს. ტაშით აჯილდოებდნენ ხოვლელებს, ნოსტელებს, დოესელებს, ქვემოჭალელებს, ზემოხანდაკელებს, ქვემოგიმელებსა თუ თავად მასპინძელ თელიანელებს.

საბოლოოდ ყველას სწორედ მასპინძლებმა აჯობეს. მეორე ადგილზე ზემოხანდაკელები გავიდნენ, მესამეზე — დოესელები.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით — ამ გაჭირვების ჟამს ცოცხლობს ქართული ჭიდაობა, ის ჭიდაობა, რომელიც ჩვენს სხვა მოჭიდავეთა ფესვებია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**


"აიეტი TV"

სატელიტური ტელევიზია "აიეტი TV" გთავაზობთ საზაფხულო ფასდაკლებას

იჩქარეთ, თქვენ დაგრჩათ ორი კვირა!

98 28 77

98 87 15

ინფორმაცია, გართობა, განათლება, სპორტი — ხელმისაწვდომ ფასად

თქვენ ამას იმსახურებთ!

# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი — შვეიცარია | 7,0 | 3,3 | 1,1 |
| 2:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ავსტრია — შოტლანდია | 1,5 | 2,6 | 4,0 |
| ბელარუსი — ესტონეთი | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| 0:2 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ფარერები — სლოვაკეთი | 6,5 | 3,2 | 1,15 |
| უელსი — სან მარინო | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| 0:2 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| ბელგია — თურქეთი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ლიხტენშტაინი — ირლანდია | 10,0 | 3,4 | 1,05 |
| 2:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| რუმინეთი — ლიტვა | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| სომხეთი — პორტუგალია | 7,0 | 3,3 | 1,1 |
| 2:0 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ჩრდ. ირლანდია — უკრაინა | 1,8 | 2,6 | 2,8 |

1 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საბერძნეთი — ბოსნია | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| სლოვენია — დანია | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| მოლდოვა — ინგლისი | 6,5 | 3,4 | 1,1 |
| 1:0 | 2,8 | 3,4 | 1,5 |
| უნგრეთი — ფინეთი | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ლატვია — შვედეთი | 6,0 | 3,1 | 1,2 |
| რუსეთი — კვიპროსი | 1,1 | 3,1 | 9,0 |
| 0:2 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ისრაელი — ბულგარეთი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| არგენტინა — პარაგვაი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ბოლივია — პერუ | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| კოლუმბია — ჩილე | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ეკვადორი — ვენესუელა | 1,1 | 3,2 | 8,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მე-4 ტური

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი — შეფილდ იუნაიტედი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| საუთენდი — სვინდონი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| რედინგი — სტოკ სიტი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ქუინზ პარკი — ბოლტონი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| პორტ ვეილი — ოქსფორდი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ოლდემი — იფსვიჩ თაუნი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ნორვიჩი — ვულვერჰემპტონი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| მანჩესტერ სიტი — ჩარლტონი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ჰადერსფილდი — კრისტალ პალასი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| გრიმსბი — პორტსმუთი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ბრედფორდი — ტრანმერი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ბირმინგემი — ბარნსლი | 1,4 | 3,0 | 4,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი ტური

1 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტენერიფე — კომპოსტელა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| სარაგოსა — ლოგრონიესი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| სოსიედადი — სევილია | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| სანტანდერი — ვალენსია | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ესპანიოლი — ხიხონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ოვიედო — ბარსელონა | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| რაიო ვალეკანო — ვალიადოლიდი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ბეტისი — ატლეტიკი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ერკულესი — ესტრემადურა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| დეპორტივო — რეალი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ატლეტიკო — სელტა | 1,2 | 3,0 | 6,5 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. პირველი ტურის გადადებული მატჩები

1 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეცა — უნიაუ ლეირია | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| მარიტიმუ — შავეში | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რიო ავე — სალგეირუში | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ფარენსე — ეშტრელა ამადორა | 1,4 | 3,0 | 4,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

ესპანეთი: 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

### ჰოკეი. მსოფლიოს თასი

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია — ჩეხეთი | 3,4 | 4,0 | 1,3 |
| სლოვაკეთი — რუსეთი | 5,3 | 4,0 | 1,1 |
| აშშ — კანადა | 3,4 | 4,0 | 1,3 |

1 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შვედეთი — ფინეთი | 1,5 | 4,0 | 2,2 |
| კანადა — სლოვაკეთი | 1,05 | 4,0 | 7,0 |

2 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ — რუსეთი | 2,0 | 4,0 | 1,6 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

ფეხბურთი

# ნახევარდაცვიდან სამართალდაცვაში



ბოლო ხუთი-ექვსი წლის მანძილზე მრავალ ქვეყანაში მომიწია ტურისტად თუ მივლინებით ყოფნამ და, მუდამ ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად ჩამეხედა ამ ქვეყნების საფეხბურთო ცხოვრებაში. საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქართველოს აქვს პოტენცია, იყოს მოწინავე ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებს შორის. თითქმის ყველა ჩვენი ბავშვი, რომ იტყვიან, ბურთთან ერთად იბადება. სხვა საქმეა, გარდატეხის პერიოდიდან მოყოლებული, სად და როგორ იკარგებიან ჩვენი ნიჭიერი ბიჭები. ეს გარკვეულწილად ქვეყნის სიდუხჭირის ბრალია, გარკვეულწილად — კვალიფიციურ მწვრთნელთა სიმცირისა და ქართულ ხასიათისაც. ასეა თუ ისე, დარწმუნებული ვარ: როგორც კი ქვეყანა ფეხზე დადგება, ჩვენი ფეხბურთი დიდი წარმატებას მიაღწევს.

მანამდე კი– ვინ იცის, რამდენ ნიჭიერ ბიჭს უნდა ეთამაშა დიდი ფეხბურთი, რამდენს უნდა გაეთქვა ქვეყნისა და თავისი სახელი, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მიზეზთა გამო ფეხბურთიდან დაიკარგა და ახლა წარსულის მოგონებით იქარვებს დარდს. ერთი ამათგანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკის წოდებაზე წარდგენილი შალვა ბაძგარაძე. დრო იყო, ნიჭიერ ფეხბურთელს საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებშიც იწვევდნენ და რუსეთის ეროვნული ნაკრების ახლანდელ და მაშინდელ სსრკ ახალგაზრდულ ნაკრების ბორის იგნატიევს მისი დიდი იმედიც ჰქონდა, მაგრამ დღეს შალვა ბაძგარაძის სახელი დამნაშავეთა სამყაროს სცემს შიშის ზარს და არა მეტოქეთა მცველებს. ამ კაცის ნახვა მუდამ შეიძლება ეროვნულ სტადიონზე „დინამოს" მატჩების დროს. ზის ახალგაზრდა კაცი, უყურებს ფეხბურთს და იგონებს წარსულს.

— 1965 წელს დავიბადე, ნახალოვკელი ვარ. წარმოგიდგენიათ, ბავშვობიდანვე როგორი ფეხბურთელების მეზობლად ვცხოვრობდი? მანუჩარი, საშა ჩივაძე, ვოვა გუცაევი. მამაჩემი კახი ასათიანთან ძმაკაცობდა და ხუთი წლის გავხდი თუ არა, დამავლეს ხელი და „ნორჩ დინამოელში" მიმიყვანეს სერგო კოტრიკაძესთან და სერგო აპრესიანთან. 1981 წელს „დინამომ" რომ თასების თასი აიღო, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა საკავშირო „იმედის თასი" მოვიპოვეთ. იმ წელს მე და ჩემი თანაგუნდელი მამუკა ჩიკვილაძე „დინამოს" დუბლებში აგვიყვანეს, მერე კეტაშვილი და ჭედიაც შემოგვიერთდნენ. იმდროინდელ სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემთან ერთად გამოდიოდნენ გოგრიჭიანი, სართანია, რუხაძე, კარანაძე, მინსკელები გერასიმეცი და შალიმო. ორ წელიწადში ოცამდე საერთაშორისო ტურნირში ვითამაშეთ. საფრანგეთის ქალაქ ნიცაში საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მივიღე, მერე ბერლინის ტურნირზე მესამე ადგილი დავიკავეთ — საუკეთესო ნახევარმცველად დამასახელეს, გოჩა გოგრიჭიანი კი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ფეხბურთს ჩამოვშორდებოდი. „დინამოში" რომ მიმიწვიეს, ახალკაცმა მაშინვე მათამაშა დებლებში ცეესკას წინააღმდეგ. მუხლები მიკანკალებდა, როცა ბაზაზე ასეთი ვარსკვლავების გვერდით ვცხოვრობდი. ნელ-ნელა მეძლეოდა იმედი და მემატებოდა თავდაჯერება, მაგრამ საუბედუროდ ფეხი მოვიტეხე. გამოჯანმრთელების მერე კიდევ ორჯერ მოვიტეხე ფეხი და ახლაც კი მაწუხებს ხოლმე. მერე ქუთაისის „ტორპედოს" დუბლებში წამიყვანა გივი ნოდიამ და შვიდი მატჩი ვითამაშე კიდეც. 1985 წელს მალოფეევმა მიმიწვია მოსკოვის "დინამოში", სადაც ჩემი მეგობრები იგორ დობროვოლსკი, დიმა ხარინი, რენატ ატაულინი და ჩემი ძმაკაცი იგორ სკლიაროვი გამოდიოდნენ, მაგრამ ვიგრძენი, რომ ტრავმებმა დიდ ფეხბურთს სამუდამოდ ჩამომაშორა. მას მერე გულით მეწადა შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობა და ბოლოსდაბოლოს ეს საწადელი მაინც ავისრულე, თუმცა ფეხბურთთან კავშირი მაინც არ გამოწყვეტია. ვმეგობრობ საშა ჩივაძესთან, „დინამოს" დირექტორატის წევრები მერაბ ჟორდანია, მერაბ რატიანი, რომან შოთაძე და ნუკრი კაკილაშვილი ჩემი დიდი მეგობრები არიან.

**— როგორც ვიცი, ამასწინათ „დინამოსაც" ახლდით ნორვეგიასა და ლუქსემბურგში.**

— შეძლებისდაგვარად, თავისუფალი დრო როცა მაქვს, ვცდილობ, „დინამოს" თამაშები არ გავაცდინო. ნორვეგიაში ჩვენებმა მართლა სასწაული ჩაიდინეს. ხომ გახსოვთ, ლამის ყველა ნორვეგიელი ფეხბურთელი ორმეტრიანი იყო, ჩვენებს კი არცერთი საჰაერო ბრძოლა არ წაუგიათ. ძალიან ვაჟკაცურად იბრძოლეს. გამიკვირდა კიდეც ამ ახალგაზრდა ბიჭებს ამხელა ძალა და ნებისყოფა რომ აღმოაჩნდათ .

**— ადრე ლამის ყველა დინამოელი საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ სამართალდამცავ ორგანოებში იწყებდა მუშაობას, რაც უმთავრესად ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულ შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა გორგაძის დამსახურება იყო. საინტერესოა, ხშირად თუ მუშაობენ ყოფილი ფეხბურთელები თქვენთან?**

— გურამ პეტრიაშვილი აქვე, ჩემს გვერდით კაბინეტში ზის, შოთა ხანჩაგაშვილი რუსთავის ავტოსაგზაო პოლიციაშია. ჩვენს სისტემაში მუშაობენ გელა კეტაშვილი, ილია რუხაძე, ბესო მჭედლიშვილი და მიშა მაისურაძე.

**— თქვენ და გელა კეტაშვილი ადრე ერთად თამაშობდით. ახლა რას საქმიანობს გელა?**

— ავტოსაგზაო პოლიციაშია. სხვათა შორის, ალბათ გახსოვთ, რომ მან თავისი ოლიმპიური ოქროს მედალი თავდაცვის ფონდს ჩააბარა. მაშინ კი, მოგეხსენებათ, ბევრი არამზადა და მიტმასნილი იყო ყველა სტრუქტურაში და გელას ოქროს მედალი, რომელიც სამუზეუმო რელიქვიად უნდა ქცეულიყო, დაიკარგა. ამასწინათ გელა ვნახე და მითხრა, ფოთის საბაჟოში დაუკავებიათ კაცი, რომელიც ჩემი მედლის საზღვარგარეთ გატანას ცდილობდაო. ასე რომ, მედალი ნაპოვნიაო.

**— შოთა გორგაძის ფეხბურთის სიყვარული ცნობილი ამბავია. ახალ მინისტრს, კახა თარგამაძეს თუ უყვარს ფეხბურთი?**

— ფეხბურთი მასაც ძალიან უყვარს და მის მოადგილე თემურ მურღულიასაც. სწორედ ახალ მინისტრის დამსახურებაა, რომ ამასწინათ ჩატარდა გივი ჩოხელის და ვახტანგ ჭელიძის ხსოვნის ტურნირები მინი-ფეხბურთში, რომელშიც ჩვენი სისტემის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. მეც გულით მინდოდა მოედანზე გასვლა, ერთი მატჩი ვითამაშე კიდეც, მაგრამ ისევ ძველმა ტრავმებმა იჩინა თავი და ფეხი კვლავ საოპერაციო გავიხადე.

**— ალბათ შვილს მაინც გაზრდით ფეხბურთელად.**

— ჯერჯერობით მხოლოდ გოგო მყავს, მაგრამ იმედით ვცოცხლობ.

**— შვიდი წლით რუსეთს გამოვეყავით და აგერ, ახლა, ოფიციალურად პირველად ვხვდებით რუსეთის გუნდს. თქვენი პროგნოზი?**

— მე კარგა ხანს ვთამაშობდი რუსების გვერდით და უამრავი მეგობარიც მყავს. ასე რომ, რუსულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ. ეს იქნება ორი საფეხბურთო სკოლის შეჯიბრი კარგა ხნის განშორების შემდეგ და ვფიქრობ, ჩვენი „დინამო" ამ ეტაპსაც დასძლევს.

**— „დინამო" ადრე მილიციის გუნდი იყო, ახლა კი ცალკე კლუბია. როგორ თვლით, მაშინ სჯობდა, როცა გუნდს თითქმის არავითარი პრობლემა არ ჰქონდა, თუ ახლა, როცა გუნდი, ფაქტიურად, რამდენიმე ადამიანის კისერზეა?**

— „დინამოს" პრეზიდენტი და მისი თანაშემწეები ცალკე სალაპარაკო თემაა. მე ასე მიმაჩნია: რომ არა მერაბ ჟორდანია, „დინამო" ახლა ასეთი ძლიერი კლუბი არ იქნებოდა. ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ ჩვენი



ფეხბურთელობის ჟამს

ნაკრების დღევანდელი დონე მერაბ ჟორდანიას საქმიანობის შედეგიც არის.

რაც შეეხება „დინამოს" და პოლიციის ურთიერთობის საკითხს, ვფიქრობ, არაფერი იქნება ცუდი იმაში, თუ ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ. ამით „დინამო" მხოლოდ მოიგებს. მახსოვს, როცა „დინამოს" დუბლებში ვიყავი, ზოგი რაიონი კარაქით უზრუნველჰყოფდა გუნდს, ზოგი — თაფლით და ასე შემდეგ.

**— თქვენს კაბინეტში გერმანიის ნაკრების რამდენიმე ფოტო გაგიკრავთ. რა მიხვედრა უნდა, რომ გერმანელთა გულშემატკივარი ბრძანდებით და წელს მათი გამარჯვებით გაიხარებდით.**

— გერმანიის ნაკრების სიყვარული ბავშობიდან მომდევს. ნახალოვკაში მაშინ გერმანიას და ბეკენბაუერს უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა. „კაიზერ ფრანცი" პელესა და მარადონას შემდეგ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია.

**— თქვენს მძიმე საქმიანობაში ფეხბურთი ალბათ ძალზე გეხმარებათ და განტვირთვის საშუალებას გაძლევთ.**

— რა თქმა უნდა. გარდა ამისა, ძალზე საჭიროა იუმორის გრძნობაც. იმაშიც ნამდვილად გამიმართლა, მოადგილედ ალეკო ჯორბენაძე რომ მყავს. ჩემი სამსახური უზომოდ მიყვარს. გახსოვთ სიმღერა, „ჩემი თბილისი და ფიროსმანი..." მეც ასე ვარ: „ჩემი „დინამო" და პოლიცია... შაბათს ჩემი ოცნების ქალის დაბადების დღეა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთში არ გამიმართლა, მაინც ბედნიერი კაცი ვარ...

მამუკა ქვარაცხელია



ელგუჯა ბერიშვილი
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი

# მეთორმეტე ზონა

## დავით ხახალეიშვილი: ეს ყველაზე საშინელი რამ არის, რაც კი ცხოვრებაში შემმთხვევია

დასაწყისი იხილეთ წინა „სარბიელში"

### დაგვიანება დაგვიანებამდე

ქართველები კენჭისყრაზე იყვნენ, ოღონდ დააგვიანეს. სულ რაღაც რვა-ათი წუთით შეფერხდნენ, მაგრამ მთავარს ვერ მიუსწრეს: „... რაც შეეხება აწონვის პროცედურას, ძიუდოისტი ვალდებულია დილის შვიდიდან რვა საათამდე აიწონოს ოლიმპიური სოფლის სამედიცინო ცენტრში. თქვენ ხელთ გაქვთ სქემა, აწონვის ადგილი მითითებულია".

ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, ქართველთაგან არავის მოუსმენია. არავის მოსვლია აზრად, თუნდაც გვერდზე მჯდომისთვის ეკითხა: უკაცრავად, გეთაყვა, რაიმე მნიშვნელოვანი ხომ არ გამოუცხადებიათ („გვერდზე მჯდომში" უცხო და კენჭისყრაზე დროულად მისული ვინმე ვიგულისხმე, თორემ მერაბიშვილს იქვე, იმ დარბაზში შინაურებისთვის კი უკითხავს, აწონვის ადგილი ხომ არ დავაზუსტოთო. იკითხა და „პასუხიც" მიიღო)?

მოვიდნენ, დასხდნენ, კენჭისყრა მოითავეს და წავიდნენ. თანაც, გახარებულები: ოგავა და დუიე ერთ ქვეჯგუფში არიან, ხახალეიშვილი — სხვაში. უკეთესს ვერც ინატრებ!

გუგავა: კენჭისყრა 18-ში, სამ საათზე იყო დანიშნული. ადრე გამოვედით სოფლიდან. სამის ათ წუთზე ავტობუსში ვისხედით. აქედან კონგრესცენტრამდე სულ ათი წუთის გზაა, ჩვენ კი თითქმის ერთი საათი ვიარეთ. ავტობუსში მეტწილად ძიუდოს ხალხი იყო — ყველას კენჭისყრაზე ეჩქარებოდა და მძღოლმა საშველი რომ არ დაგვაყენა, ერთი ამბავი ატეხეს.

მარტყოფლიშვილი: როგორც კი ავტობუსი გაჩერდა, არავისთვის დამიცდია, ეგრევე გავიქეცი. თევზაძე დარბაზში დამხვდა. დამიძახა, აქეთ მოდი, თქვენთვის ადგილი დაკავებული მაქვსო. ამასობაში გუგავა და მერაბიშვილიც შემოვიდნენ. ქალების კენჭისყრა დაწყებული იყო. ამას რომ მორჩნენ, კაცებზე მერე გადავიდნენ.

თევზაძე: იმ დღეს რამდენიმე ოფიციალურ შეხვედრაზე ვიყავი. ბოლოს ძალოსნებს ვახლდი. მოვედი, დავჯექი და მარტყოფლიშვილიც გამოჩნდა. ვერ გეტყვი, რა ითქვა ჩემამდე, მაგრამ მერე წონა და სასწორი არავის უხსენებია.

*„The Atlanta Journal-Constitution"*, 21 ივლისი: „ძიუდოისტთა ტურნირის პირველი დღე უსიამოვნო ამბით დაიწყო — 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი ტატამზე არ დაუშვეს აწონვის პროცედურაზე გამოუცხადებლობისთვის. ქართველები ამბობენ, რომ მათ ცრუ ინფორმაცია მიიღეს და ათლეტი მსოფლიო კონგრესის ცენტრში წაიყვანეს.

ქართველებს მიაჩნიათ, რომ რვა საათი არ უნდა ყოფილიყო უკანასკნელი ვადა.

— ისინი მოვიდნენ ჩვენთან, რათა გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომა, — თქვა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პარკმა, — მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ასეთია წესი. ისინი შეცდნენ და დაისაჯნენ... დანარჩენმა 33-მა კაცმა და 20 ქალმა ყველაფერი წესისამებრ გააკეთეს.

რატომ არის აუცილებელი აწონვა მაინცდამაინც ტურნირის წინ?

„აწონვის პროცედურა იმ მოჭიდავეებმაც კი უნდა გაიარონ, რომლებიც აბსოლუტურ (არაოლიმპიურ) კატეგორიაში გამოდიან, — განმარტავს ბესონი, — აწონვა საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ სპორტსმენის მონაცემები და შესაძლებლობაში სტარტის წინ".

### პასუხისმგებელი ვ. ჩოლარია

ოლიმპიური ღონისძიებების კალენდარული გეგმა — 11 გვერდიანი ქართული ცნობარი გვაუწყებს:

„20 ივლისი.

1. ძიუდო — კონგრესცენტრი, დარბაზი „4".

— აწონვა 7.00 — 8.00 სთ. დავით ხახალეიშვილი - 95 კგ.

— შეჯიბრების დასაწყისი 9.30 სთ.

— ფინალები 15.00 სთ.

პასუხისმგებელი ვ. ჩოლარია".

მაგრამ, თურმე, ჩოლარია პასუხს არ აგებს.

მოუსმინეთ: „ვიდრე ატლანტაში გაემგზავრებოდნენ, ძიუდოისტებს საორგანიზაციო პრობლემებს ვუგვარებდი. გუნდი 12 ივლისს გაფრინდა, მე კი მოსკოვში დავრჩი — ქართველ ოლიმპიელთა ჯგუფების მგზავრობის ორგანიზება დამევალა. ბუნებრივია, ძიუდოს ნაკრებს ჩამოვშორდი, დანარჩენზე პასუხს არ ვაგებდი, თუმცა, როგორც კი ატლანტაში ჩავედი (18 ივლისს), ყველაფერი წვრილად გამოვიკითხე. მითხრეს, პრობლემები მოხსნილია: რაც გვაფიქრებდა და გვაინტერესებდა, უკვე გავარკვიეთ და დავაზუსტეთო. მეც დავმშვიდდი, საქმეში აქტიურად არ ჩავრთულვარ... იმ დილით ადრე ავდექი. გულმა არ მომითმინა და ბიჭებთან ჩავედი. ოთხნი — გუგავა, მერაბიშვილი, მარტყოფლიშვილი და ხახალეიშვილი ოთახში არ დამხვდნენ. „კარგია, ბიჭები აწონვაზე წასულან"... ანზორი სასადილოსთან ვნახე. მითხრა, აწონვაზე ბერძია და დათო წავიდნენ მე აქ დავრჩი, სხვა საქმეს მივხედავო. ვისაუზმე და მეთორმეტე ბაქნისკენ წავედი. ვხედავ, მექსიკელთა ნაკრების მწვრთნელი ელექტრომობილიდან გადმოდის. ეჭვი გამიჩნდა. ვკითხე, საიდან მოდიხარ, აწონვა სად არის-მეთქი. სქემა გამომიწოდა — აგერ, სამედიცინო ცენტრშიო... იქით გავიქეცი. გზაზე ჩვენებს შევეფეთე. უკან ბრუნდებოდნენ. ბერძია და დათოც იქ იყვნენ".

მოგროვდნენ. დათო და ბერძია ხმას არ იღებენ. დანარჩენებიც ჩუმად არიან, მერე კი ნაბიჯს შეანელებენ, ამათ წინ გაატარებენ, წყვილდებიან და ძარღვებს იბერავენ.

მორჩა! ერთმა საათმა ყველაფერი დაიტია. იმედი, ეჭვი, შიში, სასოწარკვეთა, გულისწყრომა, გულგამეხება... მერე გინებაც იყო, მუქარაც და ხელისმოქნევაც.

ახლა კი მოდიან ხელჩაქნეულები.

ბრძოლის გაგრძელების არავითარი სურვილი და ნიშანწყალი.

### საათსა და ათ წუთში, თუ მოინდომე, ქვეყანას შეძრავ

ბრძოლა სხვამ გააგრძელოს. შეჯიბრება ათის ნახევარზე იწყება. ახლა ცხრის ოცი წუთია. ვიდრე ტატამზე პირველი წყვილი გამოსული, შანსი დაკარგული არ არის.

საათსა და ათ წუთში, თუ მოინდომე, ქვეყანას შეძრავ.

*"The Washington Post"*, 21 ივლისი: „ირლანდიელ მოცურავე ქალს მიშელ სმიტს არ გაუვლია 400 მეტრზე თავისუფალი სტილის მოცურავეთა შერჩევა, რომლის ვადა 5 ივლისს იწურებოდა. მან ეს მხოლოდ 7 ივლისს გააკეთა, როცა ატლანტაში ჩავიდა. ირლანდიელთა პეტიცია მიიღეს და მიშელ სმიტი ოლიმპიურ თამაშებზე დაუშვეს...

ვინ იცის რატომ უბოძა სოკ-მა მიშელ სმიტს გამონაკლისი. ნუთუ იგივე არ უნდა გაეკეთებინა ქართველი მძიმეწონოსანი ძიუდოისტის, ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის მიმართ"?

არ უნდა გაეკეთებინა. ვერც გააკეთებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხახალეიშვილის ამბავი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის არავის უცნობებია და დახმარებაც არავის უთხოვია.

კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებდა სამარანჩი ან სხვა ვინმე დიდმოხელე, რა ჭკუაზე დადგებოდა და რა პასუხით გამოგვისტუმრებდა, მაგრამ რადგან თუნდაც მცირედი შანსი მაინც იყო, იქნებ, ბედი გვეცადა.

წინ მთელი ერთი საათი და კიდევ ათი წუთია.

მაგრამ სად არის ის კაცი, ვინც ბედისწერის წალმა დატრიალებას ეცდება.

ანდრო რაზმაძე (საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელის თანაშემწე): იმ ღამეს ყველამ გვიან დავიძინეთ. მე ჯანოსთან ოთახში დავრჩი. მოვილაპარაკეთ, რომ ჯანო, თამაზი, ამირან აბესაძე და სხვები დილით ძიუდოზე მე მიმყავდა მანქანით... დილით შემოდის ბუთია, ჩვენი ექიმი. იძახის, დავიღუპეთ, ხახალეიშვილს დოპინგის კონტროლი არ გაუვლიაო. ამ მომენტში თამაზიც შემოვიდა. ჩვენ გაგვიკვირდა. ვიცოდით, რომ დოპინგს შეჯიბრების მერე ამოწმებენ... დაახლოებით ცხრის ოცი წუთი იყო, ან ათი წუთი, ზუსტად ვერ გეტყვით. მე, თამაზი და ამირანი მანქანით გავვარდით დარბაზში. გვეგონა, რომ დათო იქ იყო. ჯანო დარჩა სოფელში. რატომ, ვერ გეტყვით. ჯანო არ წამოსულა. გზას 15-20 წუთი სჭირდებოდა, ჩვენ შვიდ წუთში მივედით. არც ერთ წითელზე არ გამიჩერებია, ფარები და ავარიული ჩართული მქონდა. ამირანი და თამაზი დარბაზში შევიდნენ, მე დავრჩი, ძრავა ჩართული დავტოვე — მეგონა დათოსთან ერთად უკან გამობრუნდებოდნენ და ისევ სოფელში მოგვიწევდა წასვლა. დიდხანს არ გამოჩნდნენ და მეც მივყევი. დარბაზში გავიგე ყველაფერი... მსაჯთა მაგიდაზე სია იდო. ხახალეიშვილს ხაზი ჰქონდა გადასმული.

*"The New York Times"*, 21 ივლისი: „მსგავსი ინციდენტები ადრეც მომხდარა. მაგალითად, 1972 წელს მიუნხენში ამერიკელმა სპრინტერებმა ედი ჰარტმა და რეი რობინსონმა 100 მეტრზე მეოთხედფინალურ გარბენზე დააგვიანეს. მიზეზი ის იყო, რომ მწვრთნელს თურმე განრიგის ძველი ვარიანტით უსარგებლია. 1988 წელს, სეულში საშუალო წონის მოკრივემ, ამერიკელმა ენტონ ჰემბრიკმა გააცდინა პირველივე ბრძოლა, რადგან მისმა მწვრთნელმა არასწორად წაიკითხა განრიგში მითითებული თარიღი".

*"The Houston Chronicle"*, 21 ივლისი: „საფრანგეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ატლანტის ოლიმპიადაზე მსგავსი დეზორგანიზაციის ელემენტები პირველი დღიდანვე შეიმჩნეოდა. „მე სრულებით არ გამკვირვებია ოცი ივლისის ინციდენტი, — ამბობს ფაზიენ ქანუ, საფრანგეთის ძიუდოს გუნდის ხელმძღვანელი, — როცა რაიმე ინფორმაციის მიღება გსურს, აქ ყოველთვის პრობლემას აწყდები. აწონვის ადგილმდებარეობის გარკვევა ჩვენთვის ძალიან რთული იყო. გუშინწინ ამის დაზუსტებამ მთელი ერთი საათი წაგვართვა. მიკვირს, რომ ამ ოლიმპიადაზე ამერიკელებს ჩვეული პროფესიონალიზმი აკლიათ. ამხელა მასშტაბის თამაშებზე ასეთი რამ დაუშვებელია".

*"The New York Times"*, 21 ივლისი: „ატლანტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ძიუდოს მენეჯერმა ბილი როსენბერგმა ყველაფერში მხოლოდ სპორტსმენი დაადანაშაულა: „მე ერთი რამ ვიცი — ერთადერთმა სპორტსმენმა ვერ გაარკვია აწონვის ადგილმდებარეობა. ეს თავისთავად მეტყველებს ბევრ რამეზე".

თევზაძე: დარბაზში მევლუდ ლობჟანიძე დამხვდა. დამიდასტურა, რომ ხახალეიშვილს შეჯიბრებაში არ უშვებენ. მიზეზი მანაც არ იცოდა. მითხრა, აი, ეს არის ფრანგი, აწონვას ხელმძღვანელობდა. მაგის ჩაწყობილი იქნებაო... მივედით ბესონთან. შეიცხადა: ველოდეთ ხახალეიშვილს, მაგრამ არ გამოჩნდაო. პარკთან მომიყვანა, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტთან. იმანაც შორს დაიჭირა ჩვენი თხოვნა: ჩვენ წესებს ვემორჩილებით, დანარჩენი საორგანიზაციო კომიტეტს მოკითხეთო.

მევლუდ ლობჟანიძე: (საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი): დარბაზში რვა საათზე მოვედი — დათო უნდა გამეხურებინა. გზაში სხვა მძიმეწონოსნები მეკითხებოდნენ — სად არის, რატომ არ აიწონაო. ვინ წარმოიდგენდა, რომ სასწორს ვერ მიაგნებდნენ... ისე, რაც ატლანტაში ჩავედით, აწონვაზე საუბრისთვის ყური არ მომიკრავს. ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, მეგონა ყველაფერი გარკვეული იყო.

ბესონი: სამწუხაროა და დასანანია, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რომელსაც წინ ფანტასტიკური კარიერა ელოდებოდა, ვერ შეძლო თამაშებში მონაწილეობა. ასეთი დიდი შეცდომის შემდეგ ჩვენ არაფრის გაკეთება შეგვეძლო.

ოფიციალური აწონვის პროცედურა ზუსტად ერთი საათი გაგრძელდა. მე მქონდა საკონსულტაციო საუბარი ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებთან. გავარჩიეთ მიზეზები, თუ რატომ ვერ შეძლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა აწონვაზე მოსვლა.

საბოლოო გადაწყვეტილება ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ბოლო სიტყვას ფედერაციის პრეზიდენტი ამბობს და ჩვენს წესებს ემორჩილება.

წინა დღეებში ორჯერ გამოვაცხადეთ აწონვის დრო და ადგილი. გზისთვის ერთი საათი ჰქონდათ.

ასეთი რამ არ უნდა შეგვეშალოს. მართალია, ის ბარსელონის ოლიმპიური ჩემპიონია, მაგრამ ჩვენ არცერთ შემთხვევაში არ გვაქვს გამონაკლისის უფლება. წესი ყველასთვის ერთია. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვინ შეცდა — ხახალეიშვილი თუ მისი თანმხლები პირები. მთავარია, რომ წესი დაირღვა.

### ქართველთა გუნდი უნდა დასჯილიყო

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, კორეელი იონგ სანგ პარკი, ბუნებრივია, ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღების „ობიექტი" გახდა. პარკის პასუხები მოკლე და კონკრეტული იყო! „ქართველთა გუნდი აუცილებლად უნდა დასჯილიყო ამ შეცდომისთვის. მათ თავის გასამართლებელი მილიონი მიზეზი აქვთ, მაგრამ ფაქტი ერთია — ხახალეიშვილი შვიდიდან რვა საათამდე აწონვაზე არ გამოცხადებულა". „ეს ძალიან უბრალო რამ არის. თუ მოჭიდავეს სურს იბრძოლოს, აწონვის პროცედურაზე დროულად უნდა მოვიდეს. ხახალეიშვილმა დააგვიანა, დანარჩენები მოვიდნენ". „ადვილად მისაღები გადაწყვეტილება არ იყო, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა — წესი წესია". „აწონვის თაობაზე და სხვა პროცედურაზე დეტალურად ვისაუბრეთ 18 ივლისს, კენჭისყრაზე ვინც იყო, ყველამ ყველაფერი გაიგო. ქართველებს რა დაემართათ"?

ქართველებმა კენჭისყრაზე დააგვიანეს და ამის თაობაზე მკითხველმა უკვე იცის. ამ ფაქტს შემთხვევით არ გახსენებთ. მიაქციეთ ყურადღება. მწვრთნელები ამტკიცებენ, დაგვიანების მიზეზი ავტობუსი იყოო. ვის რა უფლება აქვს, ამაში ეჭვი შეიტანოს, მაგრამ ეს კი უნდა ვიკითხოთ: თუ ათი წუთის ნაცვლად (სამი კილომეტრის გავლის) თითქმის საათი (!) მოუნდით, რა გარანტიაა, რომ იგივე მარშრუტს ორი დღის შემდეგ ათ წუთში გაივლით? (მით უმეტეს, ოცი ივლისი ოლიმპიადის პირველი დღეა, მთელი სოფელი და ქალაქი ყირაზე იდგება). თუ ორი დღით ადრე ამგვარი რამ შეგემთხვათ, რატომ თადარიგი არ დაიჭირეთ და სოფლიდან ადრე არ გამოხვედით?

როგორც ჩანს, ამაზე არავის უფიქრია და ვგონებ, ჩვენი დელეგაციის ყურამდეც არ მისულა კენჭისყრაზე დაგვიანების ამბავი.

მათთვის ამის თაობაზე არაფერი მიკითხავს. ოცი ივლისის ამბების კომენტარი კი ვთხოვე.

ბაგრატიონი: ძიუდოს ნაკრები თითითსაჩვენებელი გუნდი იყო. აქ გამოცდილი და სამაგალითო ხალხი მუშაობს. ამიტომ ძალიან მიჭირს იმის ახსნა, რაც აქ მოხდა. ამას ვერავის გადააბრალებ, პასუხისმგებლობა მწვრთნელებს ეკითხებათ. ყველანი პასუხს ვაგებთ, მათ შორის — მეც. ძიუდოისტებისგან ამას არ მოველოდი.

### უკომენტარო ფაქტები, ოღონდ ორი კითხვით

ფაქტი პირველი. 1994 წელი. ათენი. ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. მწვრთნელთა დაუდევრობით სოსო ლიპარტელიანი დოპინგ-კონტროლზე არ გამოცხადდა და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ფაქტი მეორე. 1994 წელი. სანკტ-პეტერბურგი. კეთილი ნების თამაშები. დავით ხახალეიშვილი მწვრთნელთან ერთად პეტერბურგში ჩავიდა, მაგრამ შეჯიბრებაზე არ დაუშვეს. მიზეზი: საქართველოს ძიუდოს ფედერაციიდან გაგზავნილი ფაქსი.

ფაქტი მესამე. 1995 წელი. ფუკუოკა. უნივერსიადა-95. გიორგი გუგავა, რაკი ჯერ 17 წელი არ შესრულებოდა (დებულებით — ჩვიდმეტისა უნდა ყოფილიყო), არ დაუშვეს ძიუდოისტთა ტურნირზე. უარით გაისტუმრეს ამირან ტოტიკაშვილიც — განაცხადის წარდგენა დაგვიანდაო.

კითხვა პირველი: იცოდა თუ არა ამ ფაქტების შესახებ საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელმა, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა?

კითხვა მეორე: 1996 წლის 20 ივლისს, დილის რვა საათსა და ოც წუთზე, რა გადაუდებელი საქმე ჰქონდა საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელს?

და კიდევ ერთი კითხვა, ოღონდ, არა მხოლოდ და არა იმდენად ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელს: კაცი მოდის „მერსედესით". ვთქვათ, მოსძვრა წინა მარჯვენა ბორბალი და გადაყირავდა. მძღოლია დამნაშავე თუ ბორბალი?



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

# მძიმეწონოსანთა თავგადასავლები

იქეთა შაბათს, ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ პოტელ-კაზინოში" სატიტულო ჩხუბი რომაა დანიშნული, იმისი მონაწილეები — ასოციაციის (ვბა) მსოფლიო ჩემპიონი, 29 წლის ბრუს სელდონი და საბჭოს (ვბპ) რჩეული, 30 წლის მაიკლ ტაისონი საზოგადოებას სამშაბათს წარუდგნენ ლოს-ანჯელესში.

ტაისონი თავისი ანტურაჟითურთ პრეზენტაციაზე ნახევარი საათის დაგვიანებით მიბრძანდა. ნაციხარ ჩემპიონს, ვისაც 44 ბრძოლა მოუგია (38 ნოკაუტით) და მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა, მაისური და სავარჯიშო შარვალი ემოსა, სელდონს კი თეთრი პერანგი, ლურჯი შორტები და კიდევ კეტბურთის კეპი. მას 33 მოგება (29 ნოკაუტით) და 3 ნაგება აქვს.

ტაისონის მენეჯერი დონ კინგი საზოგადოებას იშვიათ სეირს შეპირდა. მერე ტაისონმა ისაუბრა 20 წამი. მისმა თანა-მენეჯერმა ჯონ პორნმა შენიშნა, კარგია, 13 ივლისს დანიშნული შერკინება სასექტემბროდ რომ გადმოიდო, თორემ მაიკი მაშინ ფორმაში ვერ იყოო.

სელდონი, ვინაც მხოლოდ თავის ტიტულს იცავს, ხოლო ტაისონის ცემით მის ტიტულს ვერ დაეუფლება, მაინც ერთობ კმაყოფილი ჩანდა. ტაისონის მხლებლებს შორის იყო მავანი, ერთიანად შენილბული, ვინაც ბრუსს შეუძახა, გასასვენებლად გაემზადეო. ამგვარ გამოხდომას, შერკინებების პრეზენტაციაზე ჩვეულებრივი ამბავი რომაა, სელდონმა წაუყრუა.

ამასობაში ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრში თავისი ნებით მივიდა ვბპ-ის ექს-ჩემპიონი, ვირჯინიელი ოლივერ მაქქოლი. ეს 31 წლის ვაჟკაცი წელს ორჯერ



ჩაუვარდა პოლიციას: 9 აპრილს ვინსტონ-სეილემში (ჩრდ. კაროლინა), 26 ივლისს კი — ჩიკაგოში. ოლივერი ორივეჯერ თავდებით გაუშვეს. მას ოქტომბერში ბრიტანელ ლენოქს ლუისთან რე-მატჩი ელის და ახლა ამიტომ მკურნალობს. ორი წლის წინ მაქქოლმა უკვე სცემა ლუისი და ჩემპიონიც გახდა, მაგრამ მერე თავად წააგო ფრენკ ბრუნოსთან, ვისაც ტიტული ტაისონმა ჩამოართვა.

კიდევ ერთმა ჩემპიონმა, ფედერაციისამ (იბფ) — 28 წლის ფლორიდელმა მაიქლ მორერმა, ვინაც 30 ივნისს ლამის ბარში დებოში მოაწყო და ყველაფერი მილეწ-მოლეწა, პატიმრობის ნაცვლად სასამართლოს საზოგადოების სასარგებლოდ 100 საათი შრომა გამოსთხოვა. თუ რა დარგში დაასაქმებენ მოკრივეს, ჯერჯერობით უცნობია.

## ავტორალი

# მასპინძელთა გმირი 1000 ტბის გარემოში

9-რალიანი მსოფლიო პირველობის მეექვსე შეჯიბრი — „1000 ტბის რალი" პარასკევიდან ორშაბათამდე შიდა ფინეთში გაიმართა. გაიმარჯვა ჩემპიონატის ლიდერმა, მასპინძელმა თომი მაკინენმა, ვისაც მანამდე შვედეთში, არგენტინასა და კენიაშიც არა ყოლია ბადალი.

პირველ დღეს ტრაგედია დატრიალდა — დანიელი კარსტენ რიხარდტი („მიცუბიში") მაყურებლებში შეიჭრა, 25 კაცი დააშავა, ერთი კი — მავანი 45 წლის ბელგიელი საიქიოსაც გაისტუმრა. შეჯიბრი იმ დღეს აღარ გაგრძელებულა.

შაბათს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ფინელმა იუპა კანკუნენმა 7 სპეცეტაპი მოიგო და მაკინენი 42 წამით ჩამოიტოვა, მაგრამ ამან კვირას 11-დან 7 ეტაპზე გაიმარჯვა და კანკუნენს იქეთ გაუსწრო 12 წამით, ორშაბათს კი დარჩენილ 7 ეტაპზე კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა. რაც შეეხება შარშანდელ ჩემპიონს, შოტლანდიელ ქოლინ მაკრეის, მას შაბათსვე გადაუბრუნდა მანქანა.

შედეგი (28 ეტაპი, 297,5 მილი): 1. მაკინენი (მიცუბიში) 4 საათი, 4 წუთი და 13 წამი; 2. კანკუნენი (ტოიოტა) ჩამორჩა 46 წამით; 3. იარმო კიტოლეპტო (ფინეთი, ფორდი) 2.37; 4. მარკუს გრონჰოლმი (ტოიოტა, ფინეთი) 2.42; ...

ჯამი: მაკინენი 95 ქულა; კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 62; კენეთ ერიქსონი (შვედეთი, სუბარუ) 51; მაკრეი (სუბარუ) 42; კანკუნენი და პიერო ლიატი (იტალია, სუბარუ) 37; გრონჰოლმი 14; ...

შემდეგი რალი ავსტრალიაში გაიმართება 13-16 სექტემბერს.

ატლანტაში კვირას დიდი ზარ-ზეიმით დაიხურა ხეიბართა X თამაშები, ე. წ. პარალელური ოლიმპიადა. მასპინძლებმა თავი ძლიერ შეირცხვინეს ორგანიზაციული ქაოსით. ახლა ხეიბრებს 2000 წელს სიდნეელთა იმედი აქვთ. იქ ორივენაირ ოლიმპიადას საზიარო ორგკომიტეტი ეყოლება. იმასაც ფიქრობენ, ხეიბრები ძირითადი ოლიმპიადის მონაწილეთა პარალელურად რომ აასპარეზონ, მაგრამ შიშობენ, ვაითუ ლიანგში ჩაითქმენო.

## ჩოგბურთი

# აშშ-ის ღია პირველობა

პირველი წრის წყვილები

### წილისყრა

პიტ სამპრასი (აშშ, 1) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი, 16), ვეინ ფერეირა (სამხრეთი აფრიკა, 9) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) (ევგენი კაფელნიკოვის (რუსეთი, 7) მაგივრად); გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — ალბერტო კოსტა (ესპანეთი, 14), თოდ მარტინი (აშშ, 12) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 5)

ანდრე აგასი (აშშ, 6) — მალივაი ვოშინგთონი (აშშ, 11), თომას ენკვისტი (შვედეთი, 13) — თომას მუსტერი (ავსტრია, 3); ჯიმ კურიე (აშშ, 8) — მარსელო რიოსი (ჩილე, 10), მარკ როსე (შვეიცარია, 15) — მაიქლ ჩანგი (აშშ, 2)

### დღე პირველი

ორშაბათი, 26 აგვისტო

შეჯიბრს უთამაშებლად გამოაკლდნენ კურიე, ვისაც მარცხენა მუხლში სისხლი ჩაექცა და მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 9), ვისაც მარჯვენა მაჯის სახსრის ანთება დაემართა.

#### ვაჟები

განთესილთაგან არავინ გავარდნილა!

აგასი (6) — მაურისიო ადადი (კოლუმბია) 6:3, 6:3, 6:2. აგასის მუქი წითელი გრძელსახელოებიანი კვართი და შავი შორტები ეცვა და კეპი ეხურა. ამგვარად გამოწყობილმა დიდი სლემის ტურნირებში მე-100 თამაში მოიგო

ჩანგი (2) — ჟაიმე ონსინსი (ბრაზილია) 3:6, 6:1, 6:0, 7:6 (8-6). თამაშმა 2 საათსა და 40 წუთს გასტანა. ბრაზილიელს ერთი ქულა დააკლდა, თორემ მეხუთე ხელიც დაინიშნებოდა

ვოშინგთონი (11) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:4, 2:6, 7:6 (7-5), 6:1

სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — კრის პუუსენსი (ბელგია) 6:2, 6:0, 7:6 (7-1)

მიხაელ შტიხი (გერმანია) — თომი პაასი (გერმანია) 6:3, 1:6, 6:1, 7:5

ჯეფ თარანგო (აშშ) — ალექს რადულესკუ (გერმანია) 6:7 (5-7), 6:4, 6:1, 3:1. მერე გერმანელი დანებდა

#### ქალები

გავარდა ორი განთესილი: ამანდა კეტცერი — ანკე პუბერი (გერმანია, 6) 6:1, 2:6, 6:2. ალექსანდრა ოლშა (პოლონეთი) — მაგი მალეევა (ბულგარეთი, 12) 6:4, 6:2

სხვებმა მოიგეს: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 16) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:1, 6:0

ბრენდა შულც-მაკგაფი (ჰოლანდია, 13)

# ზომიერი დანაკლისი

— ნანა მიაგი (იაპონია) 6:1, 6:4

ირინა სპირლეა (რუმინეთი) — პეტრა ბეგეროვი (გერმანია) 6:3, 6:2

ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) — იონე კამიო (იაპონია) 6:2, 6:3

### დღე მეორე

სამშაბათი, 27 აგვისტო

#### ვაჟები

გავარდა სამი განთესილი: ბოჰდან ულიხრაჰი (ჩეხეთი) — კოსტა (14) 2:6, 6:4, 7:6 (7-2), 3:6, 6:1

იარიდ პამერი (აშშ) — როსე (15) 6:7 (7-9), 6:4, 6:4, 6:3

სტეფან ედბერგი (შვედეთი) — კრაიჩეკი (5) 6:3, 6:3, 6:3. პირვანდელი წილისყრით შვედ ვეტერანს კურიესთან უწევდა შეხვედრა, ხელახალი წილისყრის შემდეგ კი მეტოქედ უიმბლდონის ჩემპიონი რომ ერგო, მედიამ დანანებით შენიშნა, ედბერგი დიდ სლემზე ბოლო ასპარეზობისას უკეთეს ხვედრს იმსახურებდაო.

თავად შვედმა სხვაგვარად განსაჯა და მძლავრი მოწოდებებითა და პაერიდან დარტყმებით პირველი სენსაცია გაახერხა. კრაიჩეკი გამოტყდა, ფეხები თავის ბრძანებას ვერ დავუმორჩილეო.

მინეთი) 4:6, 6:1, 6:4, 6:2

ენკვისტი (13) — სტეფან სიმიონი (საფრანგეთი) 6:3, 6:1, 6:4

პიოლინი (16) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7-3), 6:4

მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 6:7 (6-8), 6:3, 6:3, 6:3

ალექსანდრ ვოლკოვი (რუსეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:7 (5-7), 6:4, 5:2. ლარსონი დანებდა

პეტრ კორდა (ჩეხეთი) — დევიდ ქოლდუელი (აშშ) 6:3, 3:6, 6:3, 7:5

#### ქალები

განთესილთაგან გავარდა ორი: იუდით ვიზნერი (ავსტრია) — ივა მაიოლი (ხორვატია, 5) 2:6, 6:3, 6:1

ქიმბერლი პო (აშშ) — კიმიკო დატე (იაპონია, 10) 6:2, 7:5

სხვებმა გაიმარჯვეს: შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) 6:3, 7:6 (7-4)

მონიკა სელეში (აშშ, 2) — ენ მილერი (აშშ) 6:0, 6:1

არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3) — ლაქსმი პორური (აშშ) 6:2, 6:1

კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 4) —






არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ (15) პირველ წრეში იოლად — 6:1, 6:1 მოუგო კანადელ პატრიშა პაი-ბულეს

ასოშიეითედ პრესის ფოტო

სხვებს არაფერი გასჭირვებიათ: სამპრასი (1) — ჯიმი შიმანსკი (ვენესუელა) 6:2, 6:2, 6:1. შარშანდელი ჩემპიონი რუმინელ ადრიან ვოინეას უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს დაშავდა და ვენესუელელმა შეცვალა. სამპრასმა მისი ვინაობა თამაშამდე 20 წუთით ადრელა შეიტყო, დასამარცხებლად კი 87 წუთი იკმარა

მუსტერი (3) — ხავიერ ფრანა (არგენტინა) 6:1, 7:6 (7-2), 6:2

რიოსი (10) — ანდრეი პაველი (რუ-

რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:2, 6:0

იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 7) — ფრანჩესკა ლუბიანი (იტალია) 6:1, 7:5

ლინდზი დავენპორტი (აშშ, 8) — ადრიანა სერა-ძანეტი (იტალია) 6:2, 6:1

ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:7 (5-7), 6:2

!!! ანაბელ ელვუდი (ავსტრალია) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:4, 6:4

## ოვალური სამყარო

### რაგბი

სამშაბათს სამხრეთ აფრიკაში სტუმრად მყოფ ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსს" პირველად მოეცარა ხელი. არა, კი არ წააგია, მაგრამ მისმა მეორე შემადგენლობამ ვერც მოუგო გრიკვალენდს, წლევანდლამდე საშინაო — ქარრის თასზე მეორე ჯგუფში რომ თამაშობდა.

მატჩი ალმასის საბადოებით ცნობილ ქალაქ ქიმბერლიში გაიმართა. იქვე სახლობს დიდი ჯონა ლომუს ცოლეური, აფრიკელი „ქურციკების" ამჟამინდელი მწვრთნელი ანდრე მარკპრააფი კი ამავდროულად გრიკვალენდის რაგბის კავშირის პრეზიდენტიცაა (?!)

თავად ლომუს ტესტ-გუნდში მოხვედრის ბოლო შანსი მისცეს, მაგრამ მუხლდასიებულმა ახლა მხარიც მაგრად იტკინა და შესვენებაზე შეცვალეს. ამ დროს ზელანდიელები 10:6 იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში მასპინძლებმა — მეორეხაზელმა კლეტემ და გარემარბმა ფანდერვათმა ლელოები გაიტანეს — 18:10. ლომუ აქაც გლენ ოზბორნმა შეცვალა და ბოლო წუთზე, შუამარბ ალამა იერემიას გრძელი პასით გატანილი ლელოთი ანგარიშიც გაათანაბრა — 18:18.

„ოლ ბლექსმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კუპერი; რაში, იერემია, მაკლეოდი, ლომუ (ოზბორნი); პრესტონი, ტონუუ; ალენი, პიუითი, ბარელი (ქოფინი); ლარსენი, თეილორი; ბლექედერი, ბლაუერსი, რენდელი.

ამასობაში „ქურციკებმაც" გამოაცხადეს ბოლო, მესამე ტესტის გუნდიც. მასში ტრავმების გამო ოთხი ცვლილებაა. გარდა ამისა, 10 ნომრად დაუწუნებიათ ჯოელ სტრანსკი. მის ნაცვლად ალადგინეს ჰენრი ჰონიბალი, ვინაც უარესი დამრტყმელი კია, მაგრამ უფრო კადნიერი მოიერიშის სახელი აქვთ.

იოჰანესბურგის მატჩი „ქურციკთა" და მარკპრააფის ბოლო შანსია. წელს ამათ უკვე ოთხჯერ წააგეს „ოლ ბლექსთან": ორჯერ — სამეულის სერიალში, ორჯერაც — სამ-მატჩა ტესტ-სერიაში. ზელანდიელები ამ სერიას 2-0 რომ იგებენ, ჯამური გამარჯვება განაღდებული აქვთ, მაგრამ „ოლ ბლექსს" სეზონის წაუგებლად დასრულება სურს და შარშან, ივნისში, იოჰანესბურგში წაგებული მსოფლიო თასის ფინალისათვის რევანშიც სწყურია.

გაგანია საშინაო სეზონია ახალ ზელანდიაში. პროვინციათა პირველობაზე უკვე ორი ტური გაიმართა და დიდი ამბებიც მოხდა — მძლეთამძლე ოქლენდმა, ვისაც აფრიკაში მყოფი ლამის მთელი ძირითადი შემადგენლობა აკლია, დაკარგა უპრესტიჟულესი ჯილდო — რანფერლის ფარი, რომლის გადმომღერებაცაა ქართული რაგბის „სარბიელის სიწი".

ოქლენდს ბოლო სამ კვირაში სამჯერ მოუწია ფარის დაცვა. ჯერ იყო და დიდსულოვანად მოიქცა და ჩემპიონატის გარეშე ქალაქ გისბორნში ჯილდოიანად თავად ეწვია იქაურ სიდუხჭირის ყურეს, მაგრამ მასპინძლებს 13 ლელო გაუტანა და 88:20 მოიგო. მერე, 18 აგვისტოს,



„იდენ პარკზე" უმასპინძლა როტორუას სიუხვის ყურეს და ერთი პირობა 11:29 აგებდა, მაგრამ ბოლო წუთზე ლელო გაიტანა, რომელიც საკმაოდ რთული პოზიციიდან გარდასახა 19 წლის მეთიუ ქარინგთონმა. ოქლენდმა ერთი ქულით 30:29 მოიგო და ფარი დაიცვა.

სიუხვის ყურეზე იღბლიანი გამოდგა ნიუ-პლიმუთის თარანაქი, პირველ ჯგუფში წელს რომ დაბრუნებულა. ბოლო შაბათს „იდენ პარკზე" ამანაც მოიგო პირველი ტაიმი 18:15, მაგრამ მერე 32:39 აგებდა. ბოლოს მაინც ნიუ-პლიმუთელებმა იმარჯვეს — ჯერ საჯარიმო, მერე კი ლელოც გაიტანეს, 42:39 დაამარცხეს ოქლენდი და ფარი წაართვეს.

თარანაქიმ ეს ჯილდო 1963 წლის მერე პირველად მოიპოვა და ამ შაბათსვე მოუწევს მისი დაცვა — ტაკაპუნას ჩრდილოეთი ნავსაყუდლის ხელყოფისაგან. ოქლენდისა არ იყოს, ამასაც მრავლად აკლია აფრიკაში მყოფი „ოლ ბლექსელები".

შაბათს, კარდიფის „არმზ პარკზე" უელსმაც უმასპინძლა „ბარბაროსებს", მაგრამ შოტლანდიისგან განსხვავებით მოუგო — 31:10 (12:5). უელსელთა ლელოები გაიტანეს შუამარბმა ნაიჯელ დევისმა (2), მცველმა ვეინ პროქტორმა, კვაჭმა ჯონათან პამფრიზმა და 9 ნომერმა რობ პაულიმ, „ბარბაროსთა" ორივე ლელო კი მესამეხაზელთა — ზელანდელი არან პენესა და ირლანდიელი დევიდ ქოქრის ანგარიშზეა.

ინგლისი და ავსტრალია მორიგდნენ, რომ 1997 — 2003 წლებში ყოველწლიურად ორ-ორჯერ ეთამაშონ ერთმანეთს: ივლისში ინგლისი წავა ეკვატორს ქვემოთ, ნოემბერში კი „ვოლაბები" ეწვევიან თეიქნემს.

ავსტრალიელებს ინგლისთან სტუმრობა წელსაც სურდათ, მით უფრო, რომ საშემოდგომო ტურნეზე იტალიას, ირლანდიასა და შოტლანდიას უნდა ეთამაშონ, უელსს კი დამატებით უთანხმდებიან ტესტის თაობაზე, მაგრამ ინგლისთან შესახვედრად ხელს უშლით „ბარბაროსებთან" 7 დეკემბერს დანიშნული შოუ, ტურნე ტრადიციულად რომ უნდა დააგვირგვინოს.

ეს მიმომხილველებს აფიქრებინებს, რომ ხუთი ერიდან გაკვეთილი ინგლისი სამხრეთი ნახევარსფეროს გუმბერაზებს უახლოვდება.

### 13-კაცა ლიგა

ორშაბათს ბრიტანეთში ბოლო საზაფხულო უქმე რომ იყო, ახალი — ევროპის საზაფხულო სუპერ-ლიგის პირველობის დამთავრებაც მას დაამთხვიეს. თასის წლევანდელი მფლობელი — სენტ-პელენსის კლუბი ერთი ქულით ჩამორჩებოდა ბოლო 7 წლის უცვლელ ჩემპიონ „ვიგანს", მაგრამ შინ თამაშობდა. პოდა, 13 ლელო გაიტანა, „ვორინგთონს" 66:14 მოუგო და 1966 წლის მერე პირველად შეასრულა დუბლი.

| Super League | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ-პელენსი | 22 | 20 | 0 | 2 | 950:455 | 40 |
| ვიგანი | 22 | 19 | 1 | 2 | 902:326 | 39 |
| ბრედფორდი | 22 | 17 | 0 | 5 | 767:409 | 34 |
| ლონდონი | 22 | 12 | 1 | 9 | 611:462 | 25 |
| ვორინგთონი | 22 | 12 | 0 | 10 | 569:565 | 24 |
| პალიფაქსი | 22 | 10 | 1 | 11 | 667:576 | 21 |
| შეფილდი | 22 | 10 | 0 | 12 | 599:730 | 20 |
| ოლდემი | 22 | 9 | 1 | 12 | 473:681 | 19 |
| ქასლფორდი | 22 | 9 | 0 | 13 | 548:599 | 18 |
| ლიდზი | 22 | 6 | 0 | 16 | 555:745 | 12 |
| პსჟ (პარიზი) | 22 | 3 | 1 | 18 | 398:795 | 7 |
| ვორქინგთონი | 22 | 2 | 1 | 19 | 325:1021 | 5 |

ჩემპიონთა კაპიტანი, ნახევარმცველი ბობი გულდინგი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, შუამარბი პოლ ნიულავი კი — საუკეთესო მელელოვე.



ახლა ინგლისელი ლიგელები იანვრამდე დაისვენებენ, ნაკრები კი ახალ ზელანდიაში, ფიჯსა და პაპუასეთში გამართავს ტურნეს. ტურნეს პროგრამაში აღარაა ავსტრალიასთან თამაშები, ვინაიდან მსოფლიოს ჩემპიონი „კენგურუები" დანარჩენი ლიგური საძმოსგან განსხვავებით არ ჩაეწერნენ რუპერტ მერდოქის სუპერ-ლიგაში, რომლის ავსტრალიაში გავრცელებაც 2000 წლამდე აკრძალა ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ.

## ვარსკვლავები




# ბიჭი ნაღდი ოზია, ენები კი სტომაქში ჭრიან!

ნათელი მოეფინა მსოფლიოს უსწრაფესი მოცურავის, ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიადების ორ-ორგზის ჩემპიონის, რუსი ალექსანდრე პოპოვის მძიმედ დაჭრის ამბავს.

საქმე დაახლოებით ასე ყოფილა: ნაქეიფარი ოლიმპიელი შუაღამისას ქუჩაში გასულა მანდილოსნების თანხლებით. მერე ამათ ვილაცეები ახირებიან, ვაჟკაც პოპოვს დაუცავს ქალები, სამაგიეროდ კი ბებუთი მიუღია. ცნობილი მოცურავე დაუჭრია მავან საზამთროს გამყიდველს, რომელიც რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინის განკარგულებით დაუპატიმრებიათ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, დაპატიმრებული აზერბაიჯანელი იქნება, რაკი მოსკოვში ხილ-ბოსტნეულის კერძო ვაჭრობა ამ ეროვნების ხალხის ხელში ყოფილა.

პოპოვის დაჭრას რუსეთზე ნაკლები გამოხმაურება როდი მოჰყოლია შორეულ ... ავსტრალიაში. საქმე ისაა, რომ ეს დიდი სპორტსმენი უკვე მხოლოდ ფორმალურად ყოფილა რუსი, რაკი ბოლო წლებია ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში სახლობს, იქაურ სპორტის ინსტიტუტში ვარჯიშობს ასევე რუსეთიდან გადახვეწილი გენადი ტურეცკის მეთვალყურეობით და ატლანტაშიც უთუოდ ავსტრალიის სახელით იასპარეზებდა, მოქალაქეობა მიღებული რომ ჰქონოდა. საამისოდ პოპოვს ბინადრობის ცენზი ვერ შეუსრულებია.

ახლა საქმე სხვაგვარადაა. როგორც ზემოთხსენებული ინსტიტუტის დირექტორი ჯონ ბოლდბი ამბობს, პოპოვი რომ მოკეთდება, კანბერაში ჩავა და ოქტომბერში ოფიციალურადაც გახდება მისი თანამემამულე, მით უფრო, თუ ბიჭი უკვე ნაღდი „ოზი" (ავსტრალიელებს მოკლედ ასე ეძახიან!) ყოფილა, ლაპარაკისას ავსტრალიურად უქცევს და იუმორიც კი ამათი ყაიდისა ჰქონია.

ბოლდბიმ განცხადებას ისიც დააყოლა, ახლა კი გაცხადდა, თუ რად აღარ სურს პოპოვს რუსობაო. იმის მაგივრად, რომ დიდი მოცურავე ხელისგულზე ატარონ, მისიანები საზამთროს გულისთვის სასიკვდილოდ იმეტებენო!

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29